645 / 1978/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1978 წ

# გზა სამრეწველო რელსებისაკენ მიდის



მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ძნელაძე



სელექციონერი ანა შისლოვა



დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები

1949 წელს შავი ზღვის სანაპიროზე, კურორტ გაგრიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით მერძევეობის მეურნეობა შეიქმნა. მისი ძირითადი დანიშნულება საკურორტო-გამაჯანსაღებელი კერების დიეტური რძით მომარაგება იყო.

მეურნეობას მაშინ მხოლოდ 36 ჰექტარი სახნავი სავარგულები და 400 ჰექტარზე მეტი დაჭაობებული, დასამუშავებლად უვარგისი მიწა ჰქონდა, მოსავლელი კი 180 სული რქოსანი პირუტყვი და 120 მეწველი ძროხა ჰყავდა, რომლებიც საშუალოდ 1000-1200 კილოგრამ რძეს იწველიდნენ.

დაბალი იყო ტექნიკური აღჭურვილობის დონე. მეცხოველეობაშიც და მემინდვრეობაშიც ხელით შრომა სჭარბობდა.

მეურნეობის შექმნის პირველი დღეებიდანვე მისმა ხელმძღვანელებმა წარმოების ინტენსიფიკაციის მეცნიერულად დასაბუთებული, ადგილობრივ პირობებთან სწორად შეხამებული გეგმათა მთელი სისტემა შეიმუშავეს და აქტიურად შეუდგნენ მის განხორციელებას.

უპირველესად მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად ჭაობების დაშრობა და უსარგებლო მცენარეებისაგან გაწმენდა დაიწყეს, რათა ეს უვარგისი მიწები სახნავ-სათესად ექციათ.

ამ მთავარი ამოცანის პრაქტიკულად განხორციელებასთან ერთად მეურნეობაში წლითიწლობით უმჯობესდებოდა ტექნიკური აღჭურვა.

განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ ჯიშთა გასაუმჯობესებლად. დაბალპროდუქტიული ჯიშები თანდათანობით შეცვალეს მაღალპროდუქტიულით.

შედეგიც კარგი მიიღეს: მეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე გახდა და მიღწეული საწარმოო წარმატებებისათვის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში თვალსაჩინო შედეგებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

1971 წლიდან მას უკვე ჯიშთსანაშენე მეურნეობა ეწოდება, და კურორტის მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების გარდა, მთავარი ფუნქცია — შავჭრელი ჯიშის მოზარდეულის მოშენება და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებისათვის მიყიდვა დაეკისრა.

დღეს მეურნეობის მიწის საერთო ფართობი 845 ჰექტარია. აქედან სახნავ-სათესს 512 ჰექტარი უჭირავს. 1949 წელთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დარებით ძროხების პროდუქტიულობა ოთხჯერ გაიზარდა, რძის წარმოება კი — თორმეტჯერ.

855 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან 400 სული საფურაქეა და ბევრი მათგანი „ელიტა-რეკორდის“ და „ელიტას“ კლასებს მიეკუთვნება. ჯიშთსანაშენე მუშაობის ბირთვია შავჭრელი ჯიშის 200 სული ძროხა, რომლებიც წელიწადში 5000 კილოგრამზე ნაკლებ რძეს არ იწველიან. ისინი მეურნეობის „ოქროს ფონდია“. სწორედ მათგან მიღებულ მოზარდეულს იყენებენ აღნიშნული მეურნეობის დაბალპროდუქტიული საქონლის შესაცვლელად და რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში სარეალიზაციოდ.

ჯიშთსანაშენე მუშაობა გაშლილია მეურნეობის სპეციალისტებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გამრავლებისა და გენეტიკის საკავშირო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გეგმის საფუძველზე.

აქ დიდი გადაჭარბებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის გეგმა, ასევე წარმატებით გაართვეს თავი ახალ ვალდებულებას და სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება 1 სექტემბრისათვის გაანაღდეს.

მეურნეობის წარმატებები სოციალისტური შრომის გმირის ვასილ ძნელაძის უნარიანი ხელმძღვანელობით არის მოპოვებული.

მას გვერდში უდგას მწველავთა არმია — სოციალისტური შრომის გმირი ეკატერინე ლეშჩოვა, ნინო თურმანიძე, თამარ ულეჩკო, მარიამ პეტროვა, ზინაიდა პოპკოვა და მრავალი სხვა. მათ მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის მეცხოველეებს, მხარი დაეჭირათ უკრაინელი კოლეგების ინიციატივისათვის და თავიანთი წვლილი შეეტანათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ამ ცოტა ხნის წინათ მწყობრში ჩადგა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აგებული მეცხოველეობის კომპლექსი.

ასეთია მეურნეობის დღევანდელი დღე. კიდევ უფრო დიადი იქნება მომავალი.





**რ. სიგუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლაპარაკობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მონაწილე

# გრანდიოზული პერსპექტივები

ერთი წლის წინათ ამ საპატიო ტრიბუნიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე სიტყვა მივეცი პარტიას, სამშობლოს, ხალხს, რომ ჩემს წვლილს შევიტანდი 1977 წელს რესპუბლიკაში 140 ათასი ტონა ხორცისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში, რომ ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის სანაშენო ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ აწარმოებდა 160 ტონა ხორცს, თითოეულ ქუბზე მიიღებდა 20 გოჭს. მინდა მოვახსენო პლენუმს, რომ სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა განაღდებულია: ვაწარმოეთ 162 ტონა ხორცი და თითოეულ ქუბზე მივიღეთ 20 გოჭი.

სამშობლოს, პარტიას ვალდებულების შესრულება რომ უპატაკო, ეს ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ ჩემს პატაკს სწორედ დღეს, ამ პლენუმზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. დღეს ჩვენ განვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხს, რომელიც განმსაზღვრელი მიმართულება უნდა გახდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სწორედ სპეციალიზაცია, მისი ყველა სიკეთის მაქსიმალურად გამოყენება გადაიქცა ჩვენი ბრიგადის წარმატებების საფუძვლად.

ჩვენი ბრიგადა სპეციალიზებულია და დაკისრებული აქვს ჯიშიანი მოზარდეული მიაწოდოს როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის მეურნეობებს. მიმართულების ასეთმა გამოკვეთამ საშუალება მოგვცა აგვემაღლებინა მეცხოველეობის კულტურა და გაგვეზარდა გოჭების წარმოება, მაშინ, როცა ამ ბრიგადის შექმნამდე ჩვენი მეურნეობა საშუალოდ 13-მდე გოჭს იღებდა, ხოლო რაიონის მეურნეობათა ნაწილი დღესაც ვერ ასცილდა ამ დონეს.

თითოეული საბჭოთა მოქალაქის ვალია კეთილსინდისიერად და მთელი მონდომებით ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას, თავის საქმიანობას მიუდგეს პარტიულად, სახელმწიფოებრივად. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეამაყება ჩვენი წარმატებები, რაც რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს. თვითკმაყოფილების გრძნობა უცხოა ნამდვილი კომუნისტისათვის, იგი უფრო იმაზე უნდა ფიქრობდეს, როგორ განადოს თავისი საუკეთესო მაჩვენებლები ყველას საკუთრება, ნოვატორის მიჯნას მიაღწიოს მთელმა მეურნეობამ, რაიონმა, დარგმა.

როცა ასე ვუდგებით ჩვენი ბრიგადის მაჩვენებლებს, შედეგებს, ვრწმუნდებით, რომ აუცილებელია მოვახდინოთ მთელი რაიონის მეცხოველეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

ავიღოთ თუნდაც მეღორეობა. ამჟამად რაიონის 10 საბჭოთა მეურნეობას 14 ათასამდე ღორი ჰყავს. მეურნეობათა უმრავლესობას ხორცის წარმოება ძვირი უჯდება, საკვები დიდი რაოდენობით ეხარჯება. მაგალითად, ჩვენ კილოგრამი ხორცის წარმოებაზე 5 საკვებ ერთეულს ვხარჯავთ, სხვა მეურნეობებში კი 12 საკვები ერთეული იხარჯება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემო და ქვემო ალვნების მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების მეღორეობის ფერმების ბაზაზე შეიქმნას რაიონის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება, გოჭების რეპროდუქტორი. აქ მოთავსებული იქნება 800 ნეზვი, საიდანაც წელიწადში მივიღებთ არანაკლებ 15-16 ათას გოჭს და 1400 ტონა ხორცს. თუ ამ გაერთიანებასთან შევქმნით კიდევ ორ სანაშენე ბრიგადას, შევძლებთ ყოველწლიურად გამოვზარდოთ 3000 სული სანაშენე მოზარდეული, რითაც მთლიანად დავაკმაყოფილებთ რესპუბლიკის მოთხოვნილებას. ამასთან გავწევთ საკვების დიდ ეკონომიას, გამოვათავისუფლებთ დიდძალ მუშახელს.

აქვე აღვნიშნავ, რომ სამეურნეობათაშორისო მეღორეობის გაერთიანება არ სპობს საშუალებას, რომ თითოეულ მეურნეობას დარჩეს 15-20 ნეზვი საკუთარი წარმოებისათვის.

ვაყენებ რა სამეურნეობათაშორისო გაერთიანების საკითხს, მხედველობაში მაქვს, რომ უნდა განმტკიცდეს მისი მატერიალურ-ტექნიკური და საკვები ბაზა, კერძოდ, აუცილებელია აშენდეს ნეზვების სადგომი 400 სულისათვის, ორი სადგომი 600 მოზარდისათვის, აგრეთვე საკვების საამქრო.

ახმეტის რაიონისათვის მეცხვარეობა უძველესი და ტრადიციული დარგია. თუში კაცისათვის ყველაზე ვაჟკაცური და საპატიო პროფესია მეცხვარეობაა. თუშ მეცხვარეთა წყალობაა, რომ მარტო უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე ცხვრის რაოდენობა რაიონში 9.000 სულზე მეტით გაიზარდა და წლევანდელი იანვრისათვის 83 ათასს გადააჭარბა. ბარაქიანი დოლია ახლა შირაქში და სამუხში. უკვე მიღებულია 20 ათასზე მეტი ბატკანი. არის გარანტია, რომ ამ გაზაფხულზე მარტო საზოგადოებრივი მეურნეობის 125 ათასზე მეტი ცხვარი გაუდგება მთა-თუშეთის საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალ გზას. ამის ერთი მესამედიც მოსახლეობის პირადი საკუთრების ცხვარი იქნება. უხვბალახიანია მთათუშეთის საძოვრები. წინ მისი ფართოდ გამოყენების დიდი შესაძლებლობა გვესახება.

დღეს, როცა პრაქტიკულად წყდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის საკითხები, ბუნებრივია, იგი მაღალგანვითარებული ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე გადაწყდება. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო პრაქტიკულად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მთა-თუშეთის საძოვრები უფრო ჩქარა ჩავაყენოთ სამთო მეცხოველეობის განვითარების სამსახურში. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი დახმარებით თბილგზირამშენის სახელოვანი შრომითი კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ომალომდე წლეულსვე მივიდეს გზა. ეს საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად მოხდეს სოფლების დიკლოს, შენაქოს და ომალოს დამაკავშირებელი გზების მოწყობა. თავის მხრივ ეს შექმნის შესაძლებლობას იქ იმდენი საკვები დამზადდეს, რომ წლეულსვე პირუტყვის სადგომების მოწყობით გამოვაზამთროთ 500-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. მეცხოველეობის სამრეწველო გაერთიანებამ ახლავე უნდა იზრუნოს გომეწრის ხეობის და დართლოს საძოვრებისაკენ მისასვლელი გზების დაპროექტებაზე. ჩვენი აზრით, უნდა განახლდეს მთათუშეთში მაღალი ძაბვის ელექტროხაზის მიყვანის სამუშაოები, რაც ამჟამად შეჩერებულია თორღვას აბანოსთან. თუშები დიდი იმედით ელიან ახმეტის რაიონში მთათუშეთის საძოვრების ბაზაზე სამთო მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებს და მის პრაქტიკულ განხორციელებაზე ამყარებენ იმ იმედს, რომ საქართველოს ამ ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში 47 სოფელსა თუ ნასოფლარში, კვლავ აღდგება სიცოცხლე, ბარში გამოთავისუფლებული მუშახელი დაუბრუნდება მთის სოფლებს, გაამრავლებს საბჭოთა მეურნეობის ცხვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცროხას, განავითარებს საკარმიდამო მეცხოველეობას და თავის წვლილს შეიტანს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

უფრო გართულებულია ცხვრის საზამთრო საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი. მითუმეტეს, რომ ხუთწლედის ბოლოს მარტო საზოგადოებრივი ცხვრის სულადობა ახმეტის რაიონში 94 ათასს მიაღწევს. ხსნა სამუხის გასარწყავებაშია, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმის გადაწყვეტილებებით არის გათვალისწინებული. ახმეტელ მეცხვარეს თუკი ერთი წუთით ჩათვლემის საშუალება მიეცა, სიზმარშიც კი სამუხში მწვანედ აბიბინებულ აგშანსა ხედავს, რომელსაც მისი ცხვარ-ბატკანი თავაუღებლად შესევია. როგორც ხალხური სიმღერა — „შირაქში ერთმა მეცხვარემ“ გადმოგვცემს, თუშმა მწყემსებმა კარგად იციან თავიანთი სიზმრის ახსნა. ახმეტელთა სახელოვანი თავჩობნის ბასიკო რაინაულის ამასწინათ ნახული სიზმარი კი, არა თუ მწყემსებმა, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრებმაც კი ვერ ავხსენით. რაინაულს სიზმარში უნახავს, რომ გასარწყავებულ სამუხის ველზე ავშანის ნაცვლად რქაწითელისა და საფერავის თვალუწვდენელი ზვრები გადაშლილიყო და... უსაძოვროდ დარჩენილი ცხვარ-ბატკნის ბღავილმა გამოაღვიძა. არ ვიცი, როგორ აუხდება რაინაულს ეს სიზმარი. ერთი კი ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესში მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა და გადაწყვეტა ერთ, ცალკე აღებულ რაიონს, მათ შორის ახმეტის რაიონსაც გაუჭირდება. ეს საკითხი რეგიონების მიხედვით გადაწყვეტას საჭიროებს, რაზეც კომპეტენტური სიტყვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა თქვას და, თანაც, — რაც შეიძლება მალე. სიტყვა მალეს იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ჩვენს რაიონს ურიგო ჩანაფიქრი არა აქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის. მხედველობაში მაქვს კასრისწყლის ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების შექმნა. რაიონის 9 საბჭოთა მეურნეობიდან 8-ს კასრისწყალზე ჰყავს 6.400 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი. ეს 8 მეურნეობა ცალ-ცალკე ამზადებს საკვებს, ცალ-ცალკე აგზავნის შირაქში ზოოტექნიკოსს, ვეტექიმს თუ რევიზორს, ხარჯს ხარჯი ემატება. რაიონმა წამოაყენა წინადადება ყველა იმ პირუტყვის კონცენტრაცია ერთ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში მოხდეს, ადგილებზე მეწველი პირუტყვის დატოვებით, რაც ხელმძღვანელობას უფრო მოქნილს და ეფექტურს გახდის. მაგრამ შარშან იანვარში წამოყენებული ეს წინადადება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადასაწყვეტად 1978 წლისათვის გადადო. ვიმედოვნებთ, რომ მეცხრე პლენუმის შემდეგ საკითხის გადაწყვეტა უფრო დაჩქარდება.

სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის სიკეთე გარკვეულწილად უკვე იგრძნობა ახმეტის რაიონის მაგალითზე. რაიონის ბუნებრივი, ისტორიული და გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა მევენახეობისა და მეცხოველეობის დარგები, განისაზღვრა მათი დაჩქარებული განვითარების პერსპექტივები. მარტო ბოლო ხუთი წლის მანძილზე ახმეტელთა ზვრებს 2082 ჰექტარი შეემატა. მაგრამ ამ დარგშიც გვაქვს გადასაჭრელი პრობლემები. უპირველესად კი ალბათ მოგვიხდება ამ ხუთი წლის წინანდელი შეცდომების გამოსწორება. საქმე ის არის, რომ რაიონში 900 ჰექტარი ვენახი ყინვასაშიშ ზონაში გაშენდა და გაშენებისთანავე რამდენჯერმე მოიყინა. ახლა დღის წესრიგში დგას ყურძნის საერთო წარმოების მოცულობის შენარჩუნებით ამ ფართობების რაციონალურად გამოყენების საკითხი. ვფიქრობთ, აქ უმეტესად ვაწარმოოთ საკვები კულტურები, რითაც განვამტკიცებთ რაიონში მეცხოველეობის საკვებ ბაზას.

რადგან დღევანდელ პლენუმზე მართვის სისტემის საკითხებიც არის წინა პლანზე წამოწეული, მინდა, როგორც საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის ბიუროს წევრმა, გამოვთქვა ჩვენი მოსაზრება.

ახმეტა რესპუბლიკის რაიონების იმ ექვსეულშია, სადაც მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებია, რომლებიც შესაბამისი ტრესტებისა და რესპუბლიკური გაერთიანებების მიერ დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმების მიხედვით მუშაობენ.

იმის გამო, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო ოფიციალურად უფლებამოსილია მეურნეობების დაგეგმვა-დაფინანსებაზე, ტექნიკით თუ წარმოების სხვა საჭირო საშუალებებით მომარაგებაზე, ტრესტები უმეტეს შემთხვევაში არ ითვალისწინებენ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აზრს და ისე ადგენენ რაიონის საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებს, რომ ყოველთვის ვერ განსაზღვრავენ მეურნეობის შრომითი კოლექტივების რეალურ შესაძლებლობებს, არსებულ რეზერვებს, რაიონში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს. ეს კი უარყოფითად მოქმედებს მეურნეობათა საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებზე.

მხარს ვუჭერთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მოხსენებაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა განმტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის რაიონული რგოლი. ეს შექმნის სამეურნეო წარმოებისადმი კონკრეტული და ეფექტური ხელმძღვანელობის შესაძლებლობას. აგრეთვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება იმყოფებოდეს ორმაგ დაქვემდებარებაში,



არსებული დაქვემდებარების პარალელურად შევიდეს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაქვემდებარებაში.

დღევანდელ პლენუმზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხს მჭიდროდ ვუკავშირებთ იმ ამოცანებს, რომლებიც დაგვისახა სკკპ XXV ყრილობამ, იმ მიჯნებს, რომლებიც უნდა დავლაშქროთ მეათე ხუთწლედში. ახმეტის რაიონის მშრომელები მადლიერების და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეხვდნენ მეცხოველეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რაიონის დაჯილდოებას. ამ საპატიო ჯილდოს პასუხად ჩემი ბრიგადა ვალდებულებას კისრულობს წლეულს აწარმოოს 165 ტონა ხორცი და თითოეულ ქუზზე მიიღოს 20 და მეტი გოჭი, სახელმწიფოს მიჰყიდოს 800 სული სანაშენო მოზარდი.

დღეს ჩემი გამოსვლა, შარშან ნაკისრი ვალდებულების შესრულების პატაკით დავიწყე. ვეცდები ეს ტრადიცია არც გაისად დავარღვიო.

**ნაზო პეტრიაშვილი,**
**ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის № 1 სანაშენე ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ კიკნაძე



# დიდი ხელოვანის გზა

90 წელი შეუსრულდა დიდ რეჟისორს სანდრო ახმეტელს. ზეიმით აღინიშნება რეჟისორის იუბილე. მან სავსებით დაიმსახურა ეს სიყვარული. ახმეტელმა შექმნა ახალი თეატრი — მგზნებარე, რომანტიკული, ღრმად ეროვნული, თანადროული თეატრი, რომელიც ყველა ეროვნების მაყურებელს აღტაცებას ჰგვრიდა. ანატოლ ლუნაჩარსკის აზრით „რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი. მოსკოვის აზრით და ჩემი აზრითაც რუსთაველის თეატრი მსოფლიოს თეატრების პირველ რიგში წინაურდება“. ე. ბესკინი წერდა: „რა საუცხოო თეატრია! იგონებ ყველაზე უფრო მკაფიო, უფრო ძლიერ თეატრალურ შთაბეჭდილებებს და, მართალი რომ ითქვას არცერთის შედარება არ შეგიძლიათ ამ წარმტაც ტემპერამენტთან, ამ გასაოცარ ფორმასთან. რა ჯანსაღი, რა ცხოველმყოფელი გეჩვენება ამ თეატრში მაყურებელიც კი“. მაყურებლებად კი ახალი ქვეყნის მშენებელი ადამიანები იყვნენ. ისინი უყრიდნენ საფუძველს საბჭოთა ქვეყანას, ქმნიდნენ მის სულიერ და მატერიალურ კულტურას, მათს რევოლუციურ ენთუზიაზმს, მათს ბრძოლასა და შრომას, თავდადებასა და ერთგულებას, მათს რწმენას უმღეროდა ახმეტელის თეატრი. იმდენად ლამაზი და ძლიერი იყო ეს სიმღერა, რომ იგი მარტო საბჭოთა ადამიანებს როდი ხიბლავდა. უცხოელი მოღვაწეები ქებათა-ქებას უძღვნიდნენ ახმეტელის თეატრს. ანა ლუიზა სტრონგი წერდა: „სიტყვები არ მყოფნის ნაგრძნობისა და განცდილის გამოსათქმელად. ჩემს წინ სრულიად ახალი თეატრალური სამყარო გადაიშალა რუსთაველის თეატრის სახით“, ხოლო ნორდალ გრიგი ამბობდა: „მადლობა რუსთაველის თეატრს სიცოცხლითსავსე და უმშვენიერესი სპექტაკლებისათვის, რომელთა მსგავსი მე არასოდეს მინახავს“. ასეთი სტრიქონებით აჭრელდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პრესა. ამიტომ ლოგიკური იყო თეატრის მიწვევა საზღვარგარეთ, ჯერ ევროპაში (ვენა, პარიზი, ბუდაპეშტი, პრაღა, ვარშავა, ჰააგა), შემდეგ — ამერიკაში. ქართული თეატრისათვის ეს არნახული წარმატება აღაფრთოვანებდა ძველი ქართული თეატრის მოღვაწეებს. მაკო საფაროვა ახმეტელს სწერდა: „შენ პირველმა გაუთქვი მთელ საქართველოს ხელოვნებას სახელი“, ხოლო ვ. გუნიას მინაწერი თითქოს აჯამებს ყველა სიკეთეს ახმეტელის შემოქმედებისას: „შვილო სანდრო, ყმაწვილობაში ფრთების შესხმას და ფრენას იყავი მოწადინებული, მაგრამ რომელი ფრენა შეედრება იმ მძლავრ გაქანებას, რომელიც შენ გამოიჩინე ეროვნული ხელოვნების დარგში! ახლა რომ მოვკვდე, არას ვინაღვლიდი, რადგან ჩემი თვალით ვნახე ის, რაზეც ვოცნებობდი, რასაც სიზმრად ვლამობდი... ბედნიერი ხართ, ჩვენზე უფრო ბედნიერი, რომ თქვენ წილად გხვდათ საქართველოს სულის უკვდავების მტკიცება და ღაღადისი“. აი რატომ ვზეიმობთ დღეს ახმეტელის იუბილეს, რატომ არის იგი ასე ძვირფასი და ახლობელი ჩვენი თანამედროვეობისათვის. ამის შესახებ ხომ სრულიად გარკვევით თქვა ი. იუზოვსკიმ: „ს. ახმეტელი თავისი ბუნებით თანამედროვეა და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დღევანდელი თეატრის შენებაში... მე ვეკითხები ჩემს თავს: ახმეტელი რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლებოდა თუ არა დაედგა სპექტაკლი, მაგალითად, მებრძოლ კუბაზე ან კოსმოსურ გაფრენაზე ისე, რომ ყველაფერი — დედამიწაც, პლანეტებიც, მათ შორის ადამიანებიცა და ხალხიც ამ მოვლენით შეპყრობილი გვეგრძნო სცენაზე!? შეძლებდა ამის ჩვენებას? შეძლებდა ერთი პირველთაგანი!“ აი ეს არის დიდი რეჟისორის უკვდავება, მისი სიცოცხლე. თანადროულობას გულისხმობს ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება და ახმეტელიც სწორედ იმით არის დიადი, რომ მისი ვაჟკაცური, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ხელოვნების ტრადიცია მუდამ შეგვახსენებს თავს. მისი მაგალითი გვასწავლის, თუ რა დიდი რწმენითა და შთაგონებით უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, ხალხს, შენს თანამედროვეობას. „ჩვენი მიზანია მასების ინტერნაციონალური აღზრდა“ — წერდა ახმეტელი და ამას პრაქტიკულად ახორციელებდა თავისი სპექტაკლებით. მისი თეატრის სცენაზე ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ რუსი, უკრაინელი, სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხი, აზერბაიჯანელი, ჩრდილო კავკასიისა და სხვა ხალხების შვილები. ეს ნამდვილი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ტრიბუნა იყო. ს. ახმეტელმა დადგა ს. შანშიაშვილის „ანზორი" და შ. დადიანის „თეთნულდი", ბ. ლავრენიევის „რღვევა" და ა. გლებოვის „ზაგმუკი". ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზე შექმნილი „ლამარა" და შილერის „ყაჩაღები". ო. უაილდის „სალომეა" და კირშონის „ქართა ქალაქი". ასე მრავალფეროვანი იყო მისი რეპერტუარი. ახმეტელი გატაცებით დგამდა რუსი დრამატურგების პიესებს და მაინც რჩებოდა ქართული ეროვნული სულის შემოქმედად. მას სწორად ესმოდა ეროვნულისა და ზოგადის დიალექტიკა და ეს ხელოვანი ყოველ სპექტაკლში, ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა.

ს. ახმეტელი გმირულ-რომანტიკული თეატრის ტრუბადური იყო. მან ქართველი ხალხის სულიდან ამოზიდა ყველაზე წმიდა და მშვენიერი, მის გამოსახვას შეალია თავისი უზარმაზარი ნიჭი. სიჭაბუკისა და სილამაზის განსახიერება იყო მისი სპექტაკლები. მან იპოვა გულწრფელი მოტივი, გზები და საშუალებები თავისი ხალხის პოეტური სულის გამოსახატავად.

სრულიად ეჩვეულო მოვლენა იყო მისი თეატრი, რაღაც ფოლკლორული სინორჩე და რაინდული მომხიბვლელობა ჰქონდა მას. ასე გეგონებოდათ, თითქოს მის წიაღში ისმოდა ქართული მითოსის შორეული ხმა, სცენაზე ჩნდებოდა ელვარე თეატრალური ფორმები, რასაც ავსებდა დიდი და ღრმა შინაარსი. სოციალურ-პოლიტიკურ გარდაქმნათა ქარტეხილებში იჭედებოდა თეატრის დიდი მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი შემტევი, მებრძოლი ბუნება. ს. ახმეტელს რევოლუციამდე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებშივე სწამდა, რომ „აღსდგება ერი, აღსდგება თვით თეატრიც. სპეტაკი ვით ქართული სული".

ახალმა დრომ, საბჭოთა საქართველომ ახალი თეატრი წარმოქმნა. „აღსდგა ერი" და ახმეტელმაც მის წარმატებას უძღვნა მთელი სიცოცხლე! დიახ, მართალი იყო ჰ. ფლანაგანი: „ქართულ თეატრს ჰყავს თავისი გენია ახმეტელი". იგი არ აჭარბებდა. კოტე მარჯანიშვილის სახელს გვერდი დაუმშვენა სანდრო ახმეტელის სახელმა. სწორედ მათ შექმნეს ახალი საბჭოთა თეატრი, მათ ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი თანადროულს, დიადი მოქალაქეობრივი პრინციპების, რევოლუციური გაქანების თეატრალურ კულტურას.

სანდრო ახმეტელის შემოქმედება მარტო იმით კი არ არის საინტერესო, რაც შექმნა, არამედ იმითაც, რაც ვერ მოასწრო და საფიქრელად და საზრუნავად დაუტოვა შთამომავლობას.

ახმეტელი ქართული საბჭოთა თეატრის მშვენება და სიამაყეა. იგი ისტორიაც არის და ჩვენი თანამედროვეობაც. განუსაზღვრელია მისი ძალა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.


„ლამარა"


„ყაჩაღები"

მხატვარი ირ. გამრეკელი


„ანზორი"

## როგორ შრომობენ მეშახტეები

# რეპორტაჟი შახტიდან



დ. იაკობაშვილის ფოტო

გულნარა არსენიძე



ანგული ქათამაძე და თამარ მორჩაძე

იმ დღეს წვიმდა ტყიბულში. მძიმე, ტყვიისფერი ღრუბლები ეკიდა ცაზე. ავტობუსი ნელა მიუყვებოდა აღმართს.

შახტში სწორედ მაშინ მოგვიხდა მისვლა, როდესაც ავტობუსმა ახალი ცვლა ამოიყვანა და შესასვლელთან გადმოსხა.

— მოვიდნენ ვეფხვები, — გაიღიმა ტიხონ ჭიქაბერიძემ და მეშახტის ფორმაში გამოწყობილ ბიჭებს მხიარულად შეეხმიანა. შახტის შესასვლელს ვეება ხახა დაეღო. ნათურები ანათებდა გვირაბს. ცოტა ხნის შემდეგ სინათლის შუქზე ვაგონები გამოჩნდა. ბიჭებმა მძიმედ გადმოაბიჯეს ვაგონებიდან. დაღლილი სახეები ჰქონდათ.

— აბა, ბიჭებო, როგორ არის საქმე? — გადასძახა ტიხონმა.

— არის თითქმის ორმაგი ნორმა, — უპასუხა ერთმა. — მერე ჩაფხუტი მოიხადა, ოფლიანი შუბლი დაკოჟრებული მარჯვენა ხელით მოიწმინდა. ვაგონები ნაქერალას მთის გულში შესრიალდა.

— ეჰ, მაგათ რა უჭირთ, — თვალი გააყოლა წასულებს ძველმა მეშახტემ იულია ახვლედიანმა, — აბა, ჩვენ რამდენი გაჭირვება გადაგვიტანია. განსაკუთრებით ომის წლები იყო მძიმე. სამშობლოს „შავი ოქროს“ ნაკლებობა არ უნდა ეგრძნო.

ჩვენ, ქალები კაცების გვერდით გვირაბგამყვანებიც ვიყავით და მნგრეველებიც... რა დაგვავიწყებს წარსულს, ძველ მეშახტე ქალებს, ნამდვილ სტახანოველებს: ელენე კახიძეს, მატრონა ჩხიკვაძეს, კალინკა არსენიძეს, ანა ხელაძეს, ელენე ქაჯაიას, კატო აბესაძეს, თამარ გვენეტაძეს, თამარ ბერაძეს, კლავდია ქურციკიძეს. მართალია, ისინი ამჟამად აღარ მუშაობენ, პენსიაზე გავიდნენ, მაგრამ მათი სახელები შახტში მომუშავე ყველა ქალისათვის მანათობელი ვარსკვლავი იყო. მათი სურათები ამშვენებს ტყიბულის მუზეუმს, რომელიც ახლახანს გაიხსნა და რაიონის მოწინავე ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი დოკუმენტებით ივსება.

დღეს ქალები მძიმე სამუშაოთი დატვირთულები აღარ არიან. უწინ ნათურის ნაკლებობას განვიცდიდით და ჭრაქით ვინათებდით გზას. არც გაზის ზუსტი გამზომი ხელსაწყოები იყო სრულყოფილი. მათ მოვალეობას ვოლფები ასრულებდა. როცა ალი ვოლფიდან აიწევდა, ეს გაზის მომატებას ნიშნავდა და შახტში შესვლა სახიფათო იყო. ამჟამად არსებობს სპეციალური ხელსაწყოები, რომლებიც სრულიად სანდოა გაზის გასაზომად.

იულია ახვლედიანი სპეციალურ სალამპე-სანათურე მეურნეობაში შეგვიძღვა. აქ ძირითადად ქალები მუშაობენ. გ. შუბაშვილი, ნ. ზვიადაძე, ნ. ქათამაძე, ო. არსენიძე და სხვები აკუმულატორებს ნატრიუმის ტუტის ხსნარით მუხტავენ.

წინ თამარ მორჩაძე შემოგვხვდა, იულიაზე აღტაცებით ისაუბრა. 1938 წელს თვითონაც სულ ახალგაზრდა მოსულა ლენინის სახელობის შახტში. ყველა აქაურმა „წვრილმანმა“ მის ხელში გაიარა. იგი მთელი პასუხისმგებლობით ამუშავებს შრომის გეგმებს და გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მათ შესრულებას. უბნების რიტმული მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ყოველთვიურ სწორ დაგეგმვაზე...

ნახშირით დატვირთული ვაგონები რამდენიმე კილომეტრის გამოვლით გადამყირავებელ პუნქტში ხვდება. აქ იღებენ სინჯს და საზღვრავენ რომელი უბნისა და რომელი ცვლისაა ნახშირი. შემდეგ ლაბორატორია ამოწმებს, ხომ არ ხდება დარღვევები ნახშირის ხარისხში? ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში სინჯის ამღებ-დამმუშავებლად მუშაობს თამარ ფორჩხიძე. მისი მეუღლეც მეშახტე იყო, ოჯახის სახელოვან კვალს გაჰყვა თამარის ორივე ვაჟიშვილი. ადრე თამარიც კაცების გვერდით ვაგონებში ნახშირს ტვირთავდა, ბოლოს, სარჩევში ნახშირის დამხარისხებლად მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ ზრუნავენ მეშახტეებისათვის

შახტიდან გამოტანილი ნახშირი მთავარ ბუნკერებში იყრება, იქიდან სარკინიგზო ვაგონებში იტვირთება და ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში იგზავნება. ეს ის ფაბრიკა-გიგანტია, სადაც ნახშირის გადამუშავება და გამდიდრება ხდება. ფაბრიკაში წლების მანძილზე მუშაობენ ზინაიდა ჭიჭინაძე და ანა სახელაშვილი. ზინაიდა გამამდიდრებელი მანქანის მეაპარატეა, კომუნისტური შრომის დამკვრელია, სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულია. მისი მანქანა-დანადგარები მუდამ შეუფერხებლად მუშაობს და ნახშირი ზედმეტი მინარევებისაგან იწმინდება, მდიდრდება. ანა სახელაშვილი ტრანსპორტიორის მემანქანეა. იგი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატია.

გამდიდრებული ქვანახშირი ტრანსპორტიორის საშუალებით ხარისხის მიხედვით ბუნკერებში ნაწილდება, საიდანაც სპეციალური ვაგონებით რუსთავისაკენ მიდის.

გუგუნებს მანქანები. მანქანების ხმაურში ისმის ინჟინერ ციცინო ვარდოსანიძის ხმა. ის აღტაცებით მოგვითხრობს ფაბრიკის, მეგობრების ამბავს. თვითონაც მოწინავეა: არის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პარტიის წევრი, მუშაობდა ტრანსპორტიორის მემანქანედ, სამართავი პულტის ოპერატორად, ახლა ნახშირის ტექნოლოგიურ პროცესს უწევს კონტროლს.

სადისპეტჩერო ფარებთან არის დაკავშირებული ყველა აგრეგატი, კერძოდ ტრანსპორტიორები, ნახშირის დამლექი მანქანები, ვაკუუმ-აპარატები, ფილტრები, მაღალი და დაბალი ძაბვის ტუმბოები, შლამიანი წყალი. წყლის ტუმბვა მაღალი ძაბვის დენით ხდება. საცირკულაციო წყალს ტექნოლოგიური წყალი ემატება და ხელმეორედ იწყებს ბრუნვას. ნახშირს ზედმეტი შლამები შორდება, სხვადასხვა ზომის ცხრილებში იყრება, კლასებად იყოფა, წყლისა და ჰაერის დამატებით მდიდრდება. ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში წარმატებით მუშაობენ ციური ქასრაშვილი, ნორა გიორგაძე და დოდო გაბრიჭიძე.

ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანს მერი ნანიკაშვილს შრომის სახელოვანი გზა აქვს გავლილი. სტალინის სახელობის შახტში სინჯის ამღებ-დამმუშავებლად მუშაობდა, წარმოების ლიმიტით მოეწყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, დაუსწრებლად სწავლობდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამამდიდრებელ ფაბრიკაში სამთო ოსტატად დაიწყო მუშაობა. დისპეტჩერიც იყო. 1976 წელს პარტიული ბიუროს მდივნად აირჩიეს. მისი ოჯახის წევრებიც მეშახტენი არიან. მამა — თედორე 30 წელი თავდადებით მუშაობდა სანგრევებში, ძმა კი ლენინის სახელობის შახტის სამთო ოსტატია.

„მეშახტეთა სახელოვანი დინასტია“ — ასე შეიძლება ვუწოდოთ ნანიკაშვილების ოჯახს.

**ნუნუ ჩიხრაძე**



მერი ნანიკაშვილი

# ტყიბულელთა კარგი და ავი

მეათე ხუთწლედის მესამე წელს კარგად აიღეს სტარტი ტყიბულელმა მეშახტეებმა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის შახტის მშრომელებმა.

1978 წლის იანვარში გეგმა 104 პროცენტით შესრულდა, 2.241 ტონა ზეგეგმური ქვანახშირი ჩაბარდა სახელმწიფოს, თებერვლის გეგმა ჯერ კიდევ 25 თებერვლისათვის იყო განაღდებული.

შახტსა თუ შახტის ზემოთ, საითაც გაიხედავ, კედლებზე ლამაზი ასოებით გამოკვეთილი პლაკატებია გაკრული: „გეგმა სავალდებულოა, ვალდებულება კი — ღირსეული საქმე“. და ამ ღირსებისათვის იბრძვის ეს შემართული კოლექტივი.

ბელადის სახელობის შახტი უძველესია ტყიბულის შახტებს შორის, იგი 1847 წელს შევიდა სრულ ექსპლოატაციაში. რევოლუციამდე ქვანახშირის მოპოვებას კერძო პირები ეწეოდნენ, ქვისმტეხელი მუშების მეტი ნაწილი „სილიკოზითა“ და ტუბერკულოზით იყო დაავადებული. რევოლუციამ დიდი სინათლე შეიტანა მაშინდელ ჯურღმულებში. ნელ-ნელა გამოსწორდა მდგომარეობა. სამუდამოდ განიდევნა ტუბერკულოზი. დღითიდღე იკლო „სილიკოზის“ დაავადებამ.

თუ 1960 წლამდე ქალები კაცების გვერდით გვირაბგამყვანებიც იყვნენ და მნგრეველებიც, ახლა ისინი მხოლოდ შახტის ზედაპირზე, სალამპეში მუშაობენ. პარტიას და მთავრობას ქალებისათვის ესეც მძიმე სამუშაოდ მიაჩნია. ამიტომ 1980 წლისათვის გათვალისწინებულია ყველა ქალი გადავიდეს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოში უფრო მსუბუქ სამუშაოზე.

უკანასკნელ წლებში შახტში ბევრი კარგი რამ გაკეთდა.

ხის სამაგრები რკინის სამაგრებით შეიცვალა.

1975 წელს დაინერგა გამყვანი კომბაინი, რომელიც ავტომატურად ანგრევს გვირაბს და ვაგონებს ტვირთავს ქვანახშირით. წარმოებს კონვეიერების ავტომატიზაცია და დისტანციური მართვა.

1977 წელს დამთავრდა ცენტრალური დისპეტჩერიზაცია. დამყარდა მიწისქვეშა და მიწისზედა ტელეფონების ავტომატური კავშირი.

ყველაზე დიდი და კარგი, რაც ამ შახტში დაინერგა, ნახშირის ფენების რეგონალური გაჟღენთვაა, რომელიც სამთო დარტყმების საწინააღმდეგო ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა და სამუდამოდ დევნის სინიკოზით დაავადებასაც.

1979 წლისათვის შახტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მექანიზებული კომპლექსით ნახშირის ფენების ჰორიზონტულ შრეებად ამოღება. ფიქრობენ აგრეთვე მცირე მექანიზაციის დანერგვას, რის საშუალებითაც ავტომატურად მოხდება მასალის შეზიდვა და ჭაბურღილების გაბურღვა. ადამიანის უსაფრთხოებისათვის გათვალისწინებულია სქელი ფენების ამოღება ახალი მეთოდით, „მოქნილი გადახურვით".

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. სალამპე, სადაც მეტწილად ქალები მუშაობენ, ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა. მეშახტეები უზრუნველყოფილნი არიან ხარისხიანი ლამპებით და თვითმშველებით.

ხელზე ეძლევათ მუშებს პირველი დახმარების მედიკამენტები. კარგად ემსახურებიან მათ მედ-პუნქტის ექთნები: მერი ლორთქიფანიძე, შურა წკეპლაშვილი, გუგული არაბიძე, დარეჯან ფანჩულაძე, ნარგიზა ჭეიშვილი, ეთერ ობოლაძე, სონია არსენიძე, მაშო კუპრაშვილი, ნადია და ნინო ტორონჯაძეები. შექმნილია 14 სანიტარული საგუშაგო. ექიმები კვირაში ორჯერ ამოდიან და ამოწმებენ მუშების ჯანმრთელობას, უკითხავენ ლექციებს.

„შესაფერისი ბინის უქონლობის გამო აფთიაქი დაგვიკეტეს", — შემოგვჩივლა უფროსმა ექთანმა მერი ლორთქიფანიძემ. მან ისიც გვითხრა, საექიმო პუნქტს დიდი ხანია რემონტი სჭირდებაო. ვფიქრობთ, ამ საკითხებს შახტის დირექცია მოაგვარებს.

მშრომელები უზრუნველყოფილნი არიან კეთილმოწყობილი ქალთა ჰიგიენის ოთახით, სხაპით, პირსაბანით, ქალთა სალონით, სასადილოთი. სულ ახლახან გაიხსნა სასაუზმე და საჩაიე. შახტს აქვს 300-ადგილიანი კლუბი, ჰყავს თვითმოქმედი საკრავების ანსამბლი და მომღერალთა გუნდი.

მაგრამ ბევრ სიკეთესთან ერთად შახტის მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის.

— ვერ იქნა და ვერ შევაჩერეთ კადრების დენადობა, — გვითხრა მთავარმა ინჟინერმა დავით ცირეკიძემ.

მუშა-მოსამსახურეთა დენადობის მიზეზი უბინაობაა. ქუთაისის მე-7 სამშენებლო ტრესტმა ვერ უზრუნველყო ბინების მშენებლობა. შარშან ერთი 60-ბინიანი სახლი აშენდა. აქედან რამდენიმე ბინა აღმასკომის ფონდმა წაიღო, ზოგი თვით მშენებლებს მისცეს კუთვნილებისამებრ. მხოლოდ 40 ბინა გაუნაწილეს მუშა-მოსამსახურეებს. ეს იმ დროს, როცა შახტს 300 უბინაო ჰყავს აღრიცხვაზე.

საწარმოო გაერთიანების ტექნიკური მომარაგების სამმართველო რატომღაც ვერ ამარაგებს შახტს არსებული მექანიზმების სათადარიგო ნაწილებით. ასევე სრულყოფილად ვერ მარაგდებიან სტანდარტულ-გასამაგრებელი ხის მასალით.

აკლიათ კვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები.

შახტის მთავარმა ტექნოლოგმა ჯანგული ქათამაძემ გულახდილ საუბარში თქვა:

— 1971 წელს ახლადკურსდამთავრებული რვა ინჟინერი მოვედით აქ. სულ მალე ჩემს გარდა ყველანი წავიდნენ და სხვა სამუშაოზე მოეწყვნენ. უდავოა, ინჟინრები უბინაობისა და ცუდი სამთო-გეოლოგიური პირობების გამო წავიდნენ.

კარგი იქნებოდა მეცნიერებს ეფიქრათ და შეექმნათ ტყიბულის პირობებისათვის ნახშირის მომპოვებელი კომპლექსორი.



ჟოზა ვაშაკიძე



ედიშერ გაბადაძე

მართალია, ხელშემშლელი მიზეზები აქვთ, მაგრამ ლენინის სახელობის შახტის მუშებმა 1977 წელს გეგმით გათვალისწინებული 600 ათასი ტონა ქვანახშირის ნაცვლად სახელმწიფოს 640.014 ტონა ქვანახშირი ჩააბარეს. მაგრამ ინჟინერ-ტექნიკოსებმა პრემია მაინც ვერ მიიღეს, რადგან ცენტრალურმა გამამდიდრებელმა ფაბრიკამ ზედმეტად სველი ნახშირის მიწოდებისათვის შახტი 173 ათასი მანეთით დააჯარიმა.

რა თქმა უნდა, გამამდიდრებელ ფაბრიკას თავისი პრეტენზიები აქვს. ფაბრიკაში 250 თანამშრომელია. აქედან 200 ქალია. ნორმაზე მეტად ნესტიანი ნახშირის ტრანსპორტირება ლენტურ კონვეიერს უჭირს. და მუშებს მუშაობა ხელით უხდებათ.

1978 წელს ფაბრიკაში ორი ახალი გამამდიდრებელი მანქანა დამონტაჟდა. მართალია, ჯერ კიდევ ბევრია მოძველებული მანქანა, მაგრამ, დირექციას განზრახული აქვს წლეულს ისინიც ახლით შეცვალოს.

ფაბრიკა სათადარიგო ნაწილებით ნაკლებად მარაგდება. ყველაზე მეტად შლამის ტუმბოები უჭირთ. არც ბინების საქმეა ფაბრიკაში კარგად. მუშა ქალები ბარაკული ტიპის ბინებში ცხოვრობენ. აღრიცხვაზე სამოცი ოჯახია აყვანილი. 1977 წელს მხოლოდ 12-მა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

ფაბრიკის მუშა ქალები საგზურებით უზრუნველყოფილი არიან. საამქროებში აქვთ ცხელი და ცივი წყალი, კეთილმოწყობილი აბანო და ჰიგიენის ოთახი.

წლევანდელი წელიწადი კარგად დაიწყო გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა. საკოქსე კონცენტრატის გადამუშავების იანვრის გეგმა 107 პროცენტით შესრულდა, თებერვლის გეგმა — კი 104,6 პროცენტით.

ეჭვი არავის ეპარება, რომ მეათე ხუთწლედის მესამე წელს როგორც შახტის, ისე გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშები დიდი გამარჯვებით დაგვირგვინებენ.

ოლია რევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის მიმართ ოდითგანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ. შუა საუკუნეებში ჩვენში ბერძენ ავტორთა ბევრი მაღალმხატვრული თარგმანი არსებულა. ჟამთა სიავის გამო ეს ტრადიცია შემდგომ ვეღარ განვითარდა. რამდენიმე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრასთან ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა" სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად. მოკლე ხანში ითარგმნა და გამოიცა ქსენოფონტის, ჰეროდოტეს, ვერგილიუსის თხზულებები, „ორფიკული არგონავტიკა". „ბიბლიოთეკასთან", კლასიკური ფილოლოგიის ცნობილ სპეციალისტებთან ერთად, თანამშრომლობენ ახალგაზრდა, ნიჭიერი მთარგმნელები. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა, „ბიბლიოთეკის" უფროსმა რედაქტორმა ნანა ტონიამ ახლახან გამოსცა საფოს ლირიკის ქართული თარგმანი (ძვ. წ. ა. VI საუკუნე), ევროპული ლიტერატურის ისტორიაში პირველი პოეტი ქალის ფრაგმენტთა თარგმნა უაღრესად რთული და პასუხსაგები საქმეა. ცნობილია, რომ საფოს მთელი ანტიკურობა უპირველეს ლირიკოსად აღიარებდა. მაგრამ დღეს ჩვენ, ისიც ძირითადად უკანასკნელი ათწლეულების აღმოჩენათა წყალობით, მის პოეზიაზე წარმოდგენას მხოლოდ მცირერიცხოვანი სიმღერები და ფრაგმენტები გვიქმნის. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო ქართველ მკითხველამდე მიეტანა საფოს პოეზიის სილამაზე, უშუალობა და სინატიფე. წიგნის მნიშვნელობას უდაოდ ზრდის პარალელური ბერძნული ტექსტი, რომელიც სრულად ითვალისწინებს საფოს უახლეს კრიტიკულ გამოცემას. წინათქმა და კომენტარები სათანადო წარმოდგენას გვიქმნის საფოს პიროვნების, შემოქმედების, ეპოქის, მისი პოეზიის ცალკეული პრობლემური საკითხების შესახებ. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ მალე ნანა ტონია დაამთავრებს მუშაობას სადისერტაციო ნაშრომზე — „საფოს პოეტური სამყარო". ამჟამად მას თითქმის მზად აქვს გამოსაცემად ალკეოსის ლირიკა და სხვებთან ერთად მუშაობს ოვიდიუსის „მეტამორფოზების" თარგმანზე. ყოველივე ეს მისი შემდგომი წარმატებების საწინდარია.

**რისმაგ გორდეზიანი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# ს ა ფ ო

* * *

ტახტმოხატულო, მარადულო ასულო ზევსის,
აფროდიტეო, ვვედრებ შენდა, გულთამხილაო,
სადარდებელთა განმარიდე, ნუ დამიმწუხრე
სული, მეუფევ,
გარდმომივლინე შემწეობა, ცით მომეახლე,
ვითარცა უწინ, შორეული ძახილი ჩემი
გესმოდა ოდეს, მამისეულ ოქროს სასახლეს
თმობდი მყისიერ
და ჩემდა მომართ ისწრაფოდი ეტლდარახტული.
სწრაფად მფრინავი ბელურების ლამაზი გუნდი
მოგაქროლებდა ცისა წიაღ ფრთების ფარფატით
შავი მიწისკენ.
მყის მოაღწევდნენ ჩემს სამყოფელს და შენ, ნეტარო,
მშვიდი ღიმილით მოციაგე უკვდავი სახით
მეკითხებოდი: რა მეწადა, რა მაწუხებდა,
კვლავ რად გიხმობდი,
ესოდენ ძლიერ რა მაკრთობდა, რას ვესწრაფოდი
მღელვარე სულით: „ჩემო საფო, ვინ დავარწმუნო
შენთვის დობილად რომ მოიქცეს, ვინმე მოგეპყრო
უმართებულოდ?
იქნებ გაგირბის მეგობარი, თვით გეახლება,
ძღვენს უკადრისობს შენს ბოძებულს, თავად მოგიძღვნის,
თუ კი არ ილტვის სიყვარულით შენდა, უნებურ
შეუყვარდები.
ღმერთქალო, ახლაც მომევლინე, მეოხად მექმენ,
მძიმე განცდათგან დამიხსენი დამწუხრებული,
გულის წადილი აღმისრულე, ო, ყურად იღე
ლალადი ესე!

* * *

ღმერთების ხვედრის მეჩვენება თანაზიარი
კაცი, რომელიც შენს წინარე ზის მდუმარებით
და გისმენს ტკბილად მოსაუბრეს, ამოდ მოცინარს
სულგანაბული.
ნათელო ჩემო, ბორგნეული გული მკერდიდან
თითქოს ისწრაფვის ამოვარდნას, ოდეს თვალს მოგკრავ,
თუნდ წამიერი იყოს შენი გამოცხადება,
მღელვარებისგან
ძალი არ შემწევს ხმა გავიღო შენდა სათქმელად.
თავბრუ მეხვევა, მწველი ალი სხეულს დამირბენს,
თვალთაგან ჩინი მეკარგება და ყურთა სმენა
მერთმევა სრულად,
ოფლად ვიღვრები, თრთოლა მიტანს, მერთმევა გონი,
ბალახზედ უფრო მწვანე ფერი სახედ მედება,
მცირედი ხანიც და უგონოდ ჩავიკეცები
მგონია, მკვდარი.
მაგრამ ყველაფრის დამთმენია საბრალო სული.

* * *

მხედარს ადიდებს ზოგიერთი, ზოგი კი — ქვეითს,
ზოგს ხომალდების ხილვა უფრო ესალბუნება,
მე კი მგონია, მშვენიერი ამ შავ მიწაზე
მხოლოდ ის არის,
ვისდამიც ილტვის სიყვარულით გული კაცისა.
ჭეშმარიტებას ამ სიტყვათა ირწმუნებთ უმალ
თუ კი ელენეს მოიგონებთ, ულამაზესმა
მოკვდავთა შორის
მან ღირსეული რჩეულთაგან დასტოვა ქმარი,
თავის ასული, საყვარელი დათმო მშობლები
და გაემართა პირველ ხილვის ცთუნებით ტროად
კიპრიდას ნებით.
ო, დამყოლია (და სათუთი გრძნობა ქალური,)
ისე მსუბუქი, (მოკლებული გონების ძალას,)
მომაგონდება შორეული ანაქტორია
წასული ჩემგან,
მისი მეხილა, ვისურვებდი, რონინი ნაზი,
ნათელი სახის ბრწყინვალება, ვიდრე ლიდიის
ოქროს ეტლები, ან აბჯარასხმულ მეომართა
მშვენიერება.

## ეპითალამიები

მაღლა ასწიეთ ჭერი
ჰიმენე,
სულაც ახადეთ, ხუროებო, ჭერი,
ჰიმენე,
ნეფე მობრძანდება არესის სადარი.
მაღალზე უფრო უმაღლესი.

. . .

საით მიდიხარ სიქალწულევ,
სიქალწულევ, რად მიმატოვე?
აღარასოდეს დავბრუნდები, დედოფალო, აღარასოდეს.

ძველბერძნულიდან თარგმნა
**ნანა ტონიამ**



# ფოლადი

ნარკვევი

— ველზე მივდივარ!

— რას ეძებ?

— მადანს.

— მეც მოვდივარ.

ქალს ხმა კარებთან ეწეოდა. უნდოდა დაეცადა და არ იცდიდა. აბა თუ დამეწევო! — სწრაფად ხურავდა კარს. სიყვარულის პირველი თვე ახარებდა, შეუღლების დასაწყისი იყო.

ქალი გამართული მიდიოდა, ჩქარი ნაბიჯით და ტანის რხევით. დაკვირვებული თვალი უთუოდ სპორტსმენად შეიცნობდა. სპორტსმენები ასე ლამაზად დადიან, ასე ამაყად ირხევიან.

კაცი მალე ეწეოდა. ხელს ხელზე უჭერდა. ერთად ამოდიოდნენ. აღმართთან წყაროსკენ უხვევდნენ. წყალს პეშვით სვამდნენ. ცივი ხელით ქალი შუბლს იგრილებდა. ლამაზი, აზრიანი თვალებით ზემოთ იცქირებოდა. კაცი მკლავზე ეხებოდა. მაღლა სვენებ-სვენებით ადიოდნენ. ლამაზ გადასახედთან დგებოდნენ. ექვს კილომეტრზე სოფელი კაზრეთი ჩანდა. იმის იქით ბოლნისი იყო. ქვემოთ გადაჭიმული ველი წყვილს ბევრს საფიქრალს უგზავნიდა.

...საქართველოს მეფეებს ხშირი ომები ჰქონდათ.

ომებში ხმლები სჭირდებოდათ. ხმლებისთვის ეს ველი ეპოვნათ — ძველ დროშივე მიეგნოთ მადნისთვის. იღებდნენ, ამუშავებდნენ, ჭედდნენ...

ამ ხმლებზე ეკიდა სამშობლოს ბედი.

მოდიოდნენ, იღებდნენ, ამუშავებდნენ, ჭედდნენ.

იქნებ აქაც იდგნენ, ამ გადმოსახედზე. მათი ნაფეხურები აღარ ატყვია მიწას. მაგრამ ძებნის კვალი ყველგან ჩანს...

ამას ფიქრობდა წყვილი გადასახედზე.

დღე ისვენებდა, შრომა ისვენებდა, ჭაბურღილები და გეოლოგებიც ისვენებდნენ.

ბოლნისის რაიონში რომ ფოლადს მიაგნეს, ეს დიდი ზეიმი იყო.

1958 წელს კი ამ მადნის მარაგების დასადგენად პირველად ხუთკაციანი გეოლოგიური პარტია მოვიდა — უფროსი გეოლოგი, ორი გეოლოგი და ორი ტექნიკოს-გეოლოგი. დარეჯან გრიგოლაშვილს და თემურ ბეჟუაშვილს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდათ. ველზე მათი პირველი დამოუკიდებელი მუშაობა კაზრეთში იწყებოდა. ისინი დაქორწინდნენ, ზურგზე მეველის ჩანთები მოიგდეს, მძიმე ფეხსაცმელი ჩაიცვეს და თბილისს გამოეთხოვნენ. დარეჯანს სპორტთან დაშორება უფრო გაუჭირდა. ათი წელი კალათბურთის მოედანზე ზუსტი დარტყმებით „ბომბავდა" მოწინააღმდეგეს. ალბათ ბევრს ახსოვს, როგორ ჯაბნიდა „გეპეელთა" გუნდი უნივერსიტეტელ კალათბურთელებს.

საქმემ რომ მოითხოვა, დარეჯანმა დატოვა მოედანი და გვარიც ახალი მიიღო. ცოლ-ქმარი ბეჟუაშვილები კაზრეთის ზემოთ, დაუსახლებელ მიწაზე დასახლდნენ, ერთ მოგრძო ბარაკში პატარა ოთახი მოასუფთავეს, მაგიდა და ორი სკამი შეიტანეს, ლოგინი გაშალეს, თუნუქის ღუმელს საკვამური გაუკეთეს...

მთავარი კი ველი იყო, ველზე ჭაბურღილების მოწყობა და ლოდინი — როდის მიიღებდნენ მადანს, რა თვისებებისა იქნებოდა, როდის დაადგენდნენ მარაგს... ოქროსფრად დაწინწკლული ქანები შვილებივით შეიყვარეს და მერე მათგან მონიჭებულ სიხარულს ყოველთვის იგონებდნენ, მაშინაც, როცა პირველი ბიჭი შეეძინათ, მერე — მეორე.

— ფოლადივით მტკიცენი ვიყვნეთ, — ეტყოდა ხოლმე თემური დარეჯანს, — არასდროს არ გავტყდეთ, არავითარ გასაჭირში...

გაჭირვება არ აშინებდათ. ჰქონდათ ახალგაზრდობა, სიყვარული, ჯანმრთელობა, საქმე. ეს ველი სულ მათი იყო და ახალ სიტყვას ელოდა. მათი დასკვნების შედეგად აქ გამამდიდრებელი ფაბრიკა აშენდებოდა, ექნებოდათ საცხოვრებელი სახლები, ბაგა-ბაღები, სკოლები...

ამ დიდ მიზანს გაჭირვება რას დააკლებდა.

ამიტომ ადვილად იტანდნენ ყველაფერს — კარ-ფანჯრებში მოზუზუნე ქარს, უსინათლობას, უწყლობას, ბავშვების ავადმყოფობას, სურსათის ნაკლებობას. იცოდნენ, რომ სამაგიეროდ ქალაქი აშენდებოდა. დიდხანს ცდა არ დასჭირვებიათ. ქალაქი თანდათან აშენდა და მას ყველა სიკეთე მოჰყვა.

თითქმის ოცი წელი გავიდა. თანდათანობით შეიცვალა დარეჯანის მოვალეობები, ტექნიკოს-გეოლოგიდან გეოლოგი გახდა, შემდეგ — უფროსი გეოლოგი. 20 წელი ჭაბურღილებთან და მიწისქვეშა გვირაბებში გაატარა, რათა აშენებულიყო გიგანტი-კომბინატი.

დარეჯანი თბილისშია. ის საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური განყოფილების უფროსი გეოლოგია. შვილები დაიზარდნენ. უფროსი ვაჟი მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტია. უმცროსი გეოლოგობისთვის ემზადება. ბავშვებმა ჭაბურღილებზე იწამეს შრომის სიკეთე, აქ იგრძნეს წუთის ფასი. ახლა დედას თანატოლებივით გვერდში უდგანან. დედა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მომხიბლავია... ოთხნი იყვნენ და სამნი დარჩნენ. ხუთი წლის წინ თემური გეოლოგიურ პარტიას ახლდა ქობულეთში. მოულოდნელად გულმა უმტყუნა. ალბათ ძალიან დაიღალა...

დარეჯანი მარტოა, მაგრამ მტკიცეა საქმეში, ოჯახში.

— ფოლადივით ვიყვნეთ, — ეუბნებოდა ყველაზე დიდი მეგობარი.

ლია კაკაბაძე

# ერთად-ერთი



შეხვედრა თბილისის რკინიგზის სადგურში

ამ მატჩს მართლაც რომ არნახული ინტერესი მოჰყვა. საქართველოში ეტყობა ბად-კისინგენიდან ცნობის გაუგებლად არავინ იძინებდა. „როგორ ითამაშა მაიამ?“ — აი ყველაზე უფრო გავრცელებული კითხვა მთელი თვენახევრის მანძილზე. დასავლეთ გერმანიის ქალაქს ღამით გვიან ვუკავშირდებოდი ხოლმე. როდესაც, ბოლოსდაბოლოს, შინ ვბრუნდებოდი, მოუთმენლად მიცდიდა მთელი ეზო...

დიახ, ეს მართლაც უჩვეულო მატჩი იყო. ვინ დაიჯერებდა ერთი წლის წინათ მის შესაძლებლობას! კუშნირი შეეჩვია მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრებს და, ცხადია, ახლაც აქეთკენ მიისწრაფოდა. თქმა არ უნდა, ირინე ლევიტინამ და ელენე ფატალიბეკოვამ ვერ გაუწიეს მას ღირსეული წინააღმდეგობა. ორივე დიდოსტატს კუშნირმა სწორედ თავისათვის სასურველი თამაში მოახვია და, სპორტის სხვა სახეობის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა“.

და აი დაიწყო ფინალური შეხვედრა. კუშნირისა რა მოგახსენოთ და, მაიასათვის კი ეს ყველაზე მძიმე მატჩი იყო მის ცხოვრებაში. და მაინც, მიმომხილველთა გარკვეული ნაწილი სწორედ მაიას ანიჭებდა წინასწარ უპირატესობას. თქმა არ უნდა (უფრო სწორად, ახლა იოლია ლაპარაკი), ამ ექსპერტებს უდავოდ ჰქონდათ წინასწარი განჭვრეტის ნიჭი. ისინი იმას ეყრდნობოდნენ, რომ დეკემბერში მაიამ ბრწყინვალე სტილით (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობთ) მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მეტად ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ ბრძოლაში. კუშნირს, ცხადია, ისეც ბევრი რამ სმენია მაიას შესახებ და ამ ცნობას კი უდავო ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც უნდა მოეხდინა, მიმომხილველები ჩამოთვლიდნენ კუშნირის, როგორც სამატჩო მებრძოლის მრავალ ღირსებას, ბევრ სფეროში სწორედ გამოცდილ დიდოსტატს ანიჭებდნენ უპირატესობას. ცხადია, ისინი მართალნიც იყვნენ, მაგრამ რჩებოდა ერთი სფერო, სადაც საქმეში ჩახედულ კაცს არამც და არამც არ შეეძლო კუშნირისათვის უპირატესობა მიეკუთვნებინა. როდესაც საქმე საჭადრაკო ნიჭს ეხება, იგი მაიას მართლაც რომ უბადლო აქვს და ამდენად მასთან კუშნირის შედარება უკვე აღარ შეიძლებოდა.

შეუძლია თუ არა ნიჭს ყოველგვარ პირობებში გადამწყვეტი სიტყვა თქვას? აი აქ კი ისევ იწყებოდა ეჭვები. ფიშერი რომ ფიშერია, იმანაც მაქსიმალურ წარმატებებს 27-29 წლის ასაკში მიაღწია. აქ კი ლაპარაკი იყო 17 წლის გოგონაზე, საშუალო სკოლის მოსწავლეზე, რომელსაც ყოველ შეჯიბრებაში ჯერ კიდევ დედა დაჰყვება.

როგორც მოგეხსენებათ, მაიას გულშემატკივრებს სტარტის შემდეგ საუცხოო განწყობილება ჰქონდათ, ანგარიში იყო 4:1 ქართველი მოჭადრაკის სასარგებლოდ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მეორე პარტია, რომელიც ჩიბურდანიძემ მართლაც დიდებულად მოიგო. საინტერესო ის გახლდათ, რომ, თითქოს კუშნირის სტილის იმიტაციას ახდენდაო, მაიამ მეტოქეს ძირითადი პრობლემები სწორედ ენდშპილში შეუქმნა. ენდშპილი ის სფეროა, სადაც ახალგაზრდა მოჭადრაკეებს ბევრი ხარვეზი აქვთ. ამიტომ, თუ ათასში ერთხელ ნორჩი ოსტატი კარგად თამაშობს დაბოლოებას, ეს მხოლოდდამხოლოდ მისი დიდი ნიჭის ხარჯზე ხდება. მახსოვს მრავალნაცადი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარისა ვოლპერტის გაკვირვება, როდესაც 15 წლის ნანა ალექსანდრიამ იგი სწორედ ენდშპილში დაამარცხა. ახლა კი მაიას ასეთი ხელოვნებით დაბოლოებებში ყველა გაოცებული დარჩა.

მეხუთე პარტია გადადებული იყო კუშნირისათვის ზედმეტი... ლაზიერით. ორი მხედარი არ იყო ამ ლაზიერის ექვივალენტი. თუმცა პოზიცია ისეთი გახლდათ, რომ ნორჩი პრეტენდენტი სერიოზულ კონტრშანსებს ინარჩუნებდა.

ინგლისელები ამბობენ „სხვებს ქვებს ნუ ესვრი, თუ კი შუშისაგან აშენებულ სახლში ცხოვრობ". დიახ, კუშნირის პოზიციაშიც იყო „შუშა", რაც მაიამ ძალზე დამაჯერებლად დაამტკიცა.

მატჩის დროს ყველაზე მეტად, ცხადია, თვით მოჭადრაკეები იღლებიან. აქ მათი „კონკურენტები" მხოლოდდამხოლოდ სეკუნდანტები არიან. მე დანამდვილებით არ ვიცი, ზუსტად რამდენი საათისაგან შესდგებოდა ბად-კისინგენში ბუხუტი გურგენიძის „სამუშაო დღე".—თუმცა ამ დღის საათებით განსაზღვრა ძალიან გაჭირდება. პარტიების უმეტესობა, როგორც მოგეხსენებათ, დაუმთავრებელი რჩებოდა. ვინც ბუხუტი გურგენიძეს იცნობს, იცის, რაოდენი გულმოდგინებით არჩევს იგი ამ შეწყვეტილ პოზიციებს. მისთვის არ არსებობს დღე და ღამე, შესვენება, რაიმეზე გულისგადაყოლება. ბუხუტი მხოლოდ მაშინ ამთავრებს მუშაობას, როდესაც ჭეშმარიტებას მიაგნებს ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ პარტია წასაგებ პოზიციაში იდება, ჭეშმარიტების მიგნება ვერაფერი ნუგეშია. და აი ასეთ პოზიციებში ბუხუტის გასაოცარი უნარი აქვს ღრმად ჩამარხულ მახეებს მიაგნოს, მეტოქეს ისეთი სიურპრიზი მოუმზადოს, რომ ზოგჯერ ბრძოლის ჩარხიც კი შეცვალოს. თქმა არ უნდა, მაიას ბად-კისიგენში ჩინებული სეკუნდანტი ჰყავდა, რომლის დიდი შრომა დაფასდა კიდეც.

მაგრამ, ცხადია, მთავარი ის იყო, რომ 17 წლის ჩიბურდანიძე, უბრალოდ რომ ვთქვათ, უკეთ თამაშობდა, ვიდრე მისი 20 წლით უფროსი მეტოქე. სადაც „ხელჩართული ბრძოლა" მიმდინარეობდა, კუშნირს მაია აშკარად სჯობნიდა. თუ დებიუტების მიხედვით ვიმსჯელებთ, კუშნირს არ აღმოაჩნდა თავის რეპერტუარში ისეთი დასაწყისი, როგორიც მაიასათვის ძველინდური დაცვა იყო, ეს დასაწყისი მაიამ ყველა შვიდ შემთხვევაში გამოიყენა. ბევრს აშინებდა ასეთმა „ერთგულებამ" მაია არ დააზიანოს, მაგრამ ჩიბურდანიძე და გურგენიძე სწორად მოიქცნენ. ანდა რატომ უნდა შეცვალო იარაღი, თუ კი იგი ესოდენ მჭრელია!

ზოგ სკეპტიკოსს შეუძლია თქვას, რომ მეტოქეებს ძალზე ბევრი შეცდომა მოსდიოდათ... დიახ, ეს მართალია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი პარადოქსი — რაც უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს შეჯიბრება, ყოველთვის მეტი შეცდომაა. ნუ დავივიწყებთ, რომ მეტოქეები ძალიან ღელავენ. ჩვენ მარტო ქალებს არ ვგულისხმობთ. ავიღოთ ვაჟი პრეტენდენტების ასეთივე დონის ფინალური მატჩი. ბელგრადში სპასკისა და კორჩნოის ისეთი შეცდომები მოსდიოდათ, რომ ზოგჯერ დაჯერებაც კი ძნელდებოდა. რა თქმა უნდა, მატჩის ფინიშზე თავისი სიტყვა თქვა დაღლილობის ფაქტორმა — მაია ხომ ზედიზედ მეორე უძნელეს შეჯიბრებაში მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შემდეგ მას ძალების დაძაბვა მოუხდა და რამდენად სასიხარულოა, რომ ერთ შეჯიბრებაშიც გაიმარჯვა და მეორეშიც.

იყო ერთი თავისებურებაც, რამაც მაია ჩიბურდანიძეს გარკვეული სიძნელეები შეუქმნა. იგი ნამდვილი მსახიობივითაა შეჩვეული მაყურებლებით სავსე დარბაზში თამაშს. ასე ვთქვათ, მაყურებელი მისთვის აღმაფრენის ერთ-ერთი წყარო გახლავთ. კუშნირმა კი, ცხადია, ბად-კისინგენში ჩამოსვლამდე გაცილებით უფრო ადრე, ჩაიფიქრა ცალკე ოთახში თამაში. მატჩის გახსნისას მან კატეგორიულად მოითხოვა მაყურებლისაგან იზოლაცია. ასეთ შემთხვევაში მსაჯებს სხვა აღარა დარჩენოდათ რა, თუ არა დათანხმება. ჭადრაკის ისტორია იცნობს დიდოსტატების ასეთნაირად იზოლირების შემთხვევებს, თუმცა ისინი ძალიან იშვიათია.

მატჩი ბად-კისინგენში, ცხადია, საჭადრაკო ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო. მან ნათლად გვიჩვენა, რომ მაია ჩიბურდანიძეს გარდასახვის მეტად იშვიათი უნარი აქვს. მართლაცდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ ნათამაშევ მის პარტიებს რომ ვარჩევთ, ვხედავთ, რომ ალექსანდრიასთან თითქოს სხვა ჩიბურდანიძე თამაშობდა, ახმილოვსკაიასთან — სხვა, საკავშირო ჩემპიონატში სულ სხვა, ახლა კი ასევე სულ სხვა მაიაა. ერთი წლის მანძილზე იგი მეტად გაიზარდა და ქალთა ჭადრაკის ნამდვილი გოლიათი გახდა. დიდოსტატი გუფელდი ადრე წერდა: „მაია დღეობით კი არა, წუთობით იზრდება". ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ეს არ გახლავთ დიდი გადაჭარბება.

ზუსტად ერთი წლის წინათ მე საშუალება მქონდა ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებთან მესაუბრა პრეტენდენტთა მომავალი ასპარეზობის შესახებ. წერილს ერქვა: „რვა, ოთხი, ორი, ერთი!" გულშემატკივრები დიდად გაახარა იმან, რომ ის ერთი სწორედ მაია ჩიბურდანიძე გახდა. უკან დარჩა ერთი წლის უმძაფრესი ბრძოლა. სხვა პრეტენდენტების გვარები (ზოგის ეტყობა, სამუდამო, ზოგის — დროებით) აღარ შეგვხვდება მსოფლიოს პირველობისათვის მატჩის ანალებში. ამიერიდან ერთადერთი პრეტენდენტია ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე.

**გ. გამრეკელი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### ქალის შრომის, ყოფაცხოვრების და დასვენების პირობების რესპუბლიკური დათვალიერება

# რა გაკეთდა?

პარტიისა და მთავრობის დახმარება და მხარდაჭერა ქალებისადმი ნათლად გამოიკვეთა სკპ XXV ყრილობაზე, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში დიდი შეფასება მისცა მათ: „როცა ვლაპარაკობთ ჩვენი ხალხის დიდ საქმეებზე, არ შეიძლება არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ამ საქმეებში საბჭოთა ქალი. მის თავდადებასა და ნიჭს დიდად უნდა უმადლოდეს ჩვენი სამშობლო თავის მიღწევებსა და გამარჯვებებს. და იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც ჩვენი ყრილობა მომავლისათვის დასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უთუოდ დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენი სახელოვანი ქალები. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია დღენიადაგ ზრუნავდეს ქალისათვის, მისი როგორც შრომითი პროცესის მონაწილის, დედის, შვილების აღმზრდელისა და დიასახლისის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის".

პარტიის დიდი ზრუნვა და დახმარება ქალებისადმი შესანიშნავადაა მოცემული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაშიც, 35-ე მუხლში ვკითხულობთ:

„სსრ კავშირში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში, სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას"...

საბჭოთა სახელმწიფო ითვალისწინებს რა სკკპ XXV ყრილობის მითითებებს ქალების შესახებ, ზრუნავს მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება — მოეწყოს ქალის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების ორწლიანი დათვალიერება.

დათვალიერების მოწყობა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის ამაღლებს ქალთა

ყოფაცხოვრების დონეს, გამოავლენს გამარჯვებულ და ჩამორჩენილ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს.

**ამ მიზნით, ჩვენი რედაქციის კორესპონდენტი ი. ჩოფიკაშვილი ეწვია საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანს, რესპუბლიკური დათვალიერების კომისიის თავმჯდომარეს, ამხ. ზინაიდა კვაჭაძეს და სთხოვა მკითხველებისათვის გაეცნო დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ. ვაქვეყნებთ ამ საუბარს:**

1976 წლის 9 დეკემბერს სსრ კავშირის პროფსაბჭომ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება — სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე ქალთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების საკავშირო-საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკურმა პროფსაბჭომ თავის მხრივ მიიღო ანალოგიური დადგენილება და შეიქმნა რესპუბლიკური დათვალიერების კომისია, რომლის შემადგენლობაში მოწინავე ქალები შედიან.

დადგენილების მიხედვით გათვალისწინებულია — 1977-1978 წლებში მოეწყოს ქალის შრომის, ყოფაცხოვრების და დასვენების პირობების დათვალიერება.

აი, რა ამოცანები დგას სამინისტროების უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წინაშე დათვალიერების დროს?

მათ მოწინავე მუშა ქალების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების, ქალთა შორის მუშაობის კომისიების, რაციონალიზატორების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტული ორგანიზაციების მუშაკების ფართო მონაწილეობით უნდა იზრუნონ სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე ქალთა შემოქმედებითი და შრომითი აქტივობის შემდგომი განვითარებისათვის, მათი საზოგადოებრივი და პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის, ქალის შრომის პირობებისა და შრომის დაცვის, სამედიცინო, სანიტარულ-საკურორტო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

დათვალიერების წარმატებით ჩატარებისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შეიქმნა დარგობრივი კომისიები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საზოგადოებრივი დათვალიერების გასაშლელად.

დათვალიერებაში გამარჯვებული კოლექტივების დასაჯილდოებლად სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების მიერ გათვალისწინებულია მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები (დიპლომები, ფულადი პრემიები).

ამასწინათ, რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამა პირველი წლის შედეგები და აღნიშნა დათვალიერების პერიოდში მიღწეული წარმატებები.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში 450 მუშა ქალი გამოთავისუფლდა შრომის მავნე პირობებისაგან, 180 ქალი კი — მძიმე ხელით შრომისგან, ქალებისათვის აშენდა ოთხი პირადი ჰიგიენის ოთახი.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროში 1978 წლის 1 იანვრიდან 1892 ქალი, ე. ი. ქალთა 54 პროცენტი სანიტარული ნორმის პირობებში მუშაობს. ამ ერთი წლის მანძილზე 305-მა ქალმა აიმაღლა კვალიფიკაცია, 83 ქალს შეასწავლეს მეორე პროფესია.

კვების მრეწველობაში 2500-მა მუშა ქალმა მიიღო სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პანსიონატის საგზური, პიონერთა ბანაკებში შვილებისათვის მიეცათ 2546 საგზური, ორი ათას მუშას და 550 ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკ ქალს აუმაღლდა კვალიფიკაცია, 6 ათასი ქალი ჩაბმულია ეკონომიკურ და სხვა სახის სკოლებში, 540 ქალი სწავლობს ახალგაზრდობის სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სფეროში ქალის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების საკითხებზე მიიღეს 346 წინადადება, მათ შორის, ქალთა შრომისა და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად — 95 წინადადება, ქალთა დასვენებისა და სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად — 72 წინადადება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ — 41 წინადადება.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ისეთ საწარმოებში, როგორიც არის რუსთავის ქიმიური ქარხანა, დათვალიერების პერიოდში კომისიამ მიიღო 486 წინადადება. ამ წინადადებათა რეალიზაცია იმით დაიწყო, რომ ქარხნის გასასვლელთან და მუშათა საცხოვრებელი მასივების ტერიტორიაზე გაიხსნა ქიმიური წმენდისა და სამრეცხაოს პუნქტები, საავადმყოფოს დაემატა გინეკოლოგიური განყოფილება და ა. შ.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში შრომის განსაკუთრებით მავნე პირობების გამო გამოთავისუფლდა 15 ქალი, ღამის ცვლიდან გამოიყვანეს 350 ქალი. აქვე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახებსა და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებს. ქარხნის ტერიტორიაზე გაიხსნა ნახევარფაბრიკატების მაღაზია.

ამ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის მანავსა და ურეკში აშენდა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი და სპორტული კომპლექსი.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, კულტურის სასახლეში გაუმჯობესდა საბავშვო წრეების მუშაობა.

საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მძიმე ხელით სამუშაოზე დასაქმებულ ქალთა რიცხვი 10,4 პროცენტით შემცირდა, გაუმჯობესდა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება—შეძენილია 1042 ინდივიდუალური კარადა, დამატებით დაიდგა 208 შხაპი, მოეწყო ქალთა პირადი ჰიგიენის 5 ოთახი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მძიმე სამუშაოსა და შრომის მავნე პირობებისგან გამოთავისუფლდა 4789 ქალი, კვალიფიკაცია აუმაღლდა 5886 მუშა ქალს, მეორე პროფესია შეიძინა 2778 ქალმა, აშენდა და რეკონსტრუირებულია პირადი ჰიგიენის 634 კაბინეტ-ოთახი.

რა გაკეთდა ვაჭრობაში დასაქმებული ქალებისათვის?

ცეკავშირის გამგეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში გარემონტდა 2730 კვადრატული მეტრი ფართობის სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსო და ქალთა პირადი ჰიგიენის სამი კაბინეტ-ოთახი.

ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ქალთა საჭიროებისათვის სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობა გაიზარდა 71 პროცენტამდე. დიდი ყურადღება დაეთმო მცირე მექანიზაციის დანერგვას. შვიდ ობიექტში დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 26 ბოსტნეულის საჭრელი და ჭურჭლის სარეცხი მანქანა, შრომა შეუმსუბუქდათ ქალებს, რომლებიც საქონლის დაფასოებაზე მუშაობენ.

1977 წელს საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება ასევე ორგანიზებულად ჩაატარეს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პროფმომსახურებაში შემავალმა ბევრმა საწარმომ, სამშენებლო სამმართველომ და ორგანიზაციამ, სადაც მიღებული 460 წინადადებიდან, რეალიზებულია 300 წინადადება, რის შედეგადაც ამაღლდა საწარმოო ნაგებობათა სავენტილაციო სისტემებისა და დანადგარების მუშაობის ეფექტიანობა, გაუმჯობესდა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, სხვადასხვა მავნე საწარმოო ფაქტორის გავლენას აღარ განიცდის 1900 მუშა ქალი, საკვალიფიკაციო თანრიგი აიმაღლა 1620--მა ქალმა, 482 ქალს შეასწავლეს მეორე პროფესია, მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 269 ქალი.

დათვალიერების პერიოდში აგრეთვე გაიზარდა საბავშვო ბაგები — 6 პროცენტით, საბავშვო ბაღები — 5 პროცენტით, პიონერთა ბანაკები — 3 პროცენტით.

ქალის შრომის, დასვენებისა და ყოფაცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის საზოგადოებრივი დათვალიერების კომისიამ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია. ზემოთჩამოთვლილი ციფრები არც თუ ცოტა მიღწევებზე ლაპარაკობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლოვანებები ჯერ კიდევ ბევრია, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯეროვნად არ მოეკიდა ამ სერიოზულ საკითხს და მათ ჯერჯერობით თითქმის არაფერი გაუკეთებიათ.

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს ქალებისათვის, სისტემატურად აუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზარმა გაიწკრიალა

ეზო და დერეფნები უცებ დაცარიელდა. მეთერთმეტეკლასელები დამრიგებლის მოლოდინში კართან მოგროვდნენ და სამასწავლებლოსაკენ იწყეს მოუთმენლად ყურება.

— მოდის, მოდის! — უცებ ნიავივით გადაიქროლა ჩურჩულმა და ყველამ თავის მერხს მიაშურა.

მასწავლებელი უჩვეულო სიჩუმემ გააოცა. დაკვირვებით შეათვალიერა თითოეული, ჟურნალი დახურა და მაგიდის კიდესთან დადო. ერთხანს ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია და ის იყო, სიტყვა უნდა ეთქვა, რომ ჩურჩული შემოესმა:

— მიდი, რაღას უყურებ, თქვი, თუ არა და სხვა იტყვის!

ელენე მასწავლებელმა გაკვირვებით გაიხედა მერხისაკენ, რომლიდანაც სხვა დროს ცელქი და მოუსვენარი ჯუმბერ ბიკაშვილი გაუბედავად წამოდგა.

— პატივცემულო ლენა მასწავლებელო!— გვინდა... მე მინდა, ყველას სახელით გითხრათ...

— გისმენთ, ბავშვებო!

— აი, სკოლაში ჩვენი ყოფნის უკანასკნელი დღეა, უკანასკნელი გაკვეთილი. მართალია ბევრჯერ გაგაბრაზეთ, გაგანერვიულეთ, ღამეები თეთრად გაგათენებინეთ, მაგრამ ჩვენ ყველას ძალიან, ძალიან გვიყვარხართ, პატივს გცემთ. გპირდებით, გაწეული შრომა და ამაგი წყალში არ გადაგიყაროთ, გვენანება სკოლის კედლებთან განშორება, თქვენთან გამოთხოვება და...

აქ ჯუმბერს სიტყვა გაუწყდა, რაღაცა ბურთივით მოაწვა ყელში, მერე ეს რაღაც თვალთაგან ცრემლებად წამოვიდა. ერთხანს მასწავლებელმაც და მოსწავლეებმაც იყუჩეს, ცრემლებს უმალავდნენ ერთმანეთს. ბოლოს, ელენე მასწავლებელმა სძლია თავს.

— ბავშვებო, თქვენი გულწრფელი ცრემლები უსაზღვროდ მახარებს. მე მხოლოდ თქვენი გულებისა კი არა, თქვენი ცოდნისაც მჯერა. დამთავრდა თქვენი ბავშვობის ხანა, წინ სიძნელეებითა და მღელვარებით სავსე დღეები გელით. ახლა უფრო მეტი გონიერება გმართებთ. სასურველია, ყველამ გააგრძელოს სწავლა, მაგრამ, სადაც უნდა იყოთ, გახსოვდეთ, რომ საბჭოთა მოქალაქეები ხართ, რომ ახალგაზრდულ მონდომებას და შემართებას წინ ვერაფერი გადაეღობება; ბოლომდე სიმართლის მსახურნი იყავით. ბედნიერად მაშინ ჩავთვლი თავს, როცა ჩემს სმენას თქვენი ქება მოსწვდება.

გაკვეთილი მეგობრულ საუბარში გაილია...

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ.

ახლაც იგონებს ელენე დალაქიშვილი იმ ღირსსახსოვარ დღეებს, და იმ მოსწავლეთა სიმბოლურ საჩუქარს — მაგიდის საათს ჰკიდებს ხელს, რომელიც მას მერე დაუღალავად ითვლის წამებს, წუთებს, საათებს, დღეებს; „ყველა შესვენებაზე თქვენი კლასისკენ მეჭირა თვალი, ჩემმა ცელქებმა არაფერი დააშავონ მეთქი“ — იგონებს ღიმილით. მერე ერთად ვიხსენებთ, რა სიყვარულით, ენთუზიაზმით ვუვლიდით ზაფხულ-ზამთარს ჩვენი მშობლიური ქიზიყის შემოგარენს, რა გატაცებით ვკითხულობდით ლევ ტოლსტოის და ჯეკ ლონდონს — „ანა კარენინასა“ და „მარტინ იდენს“.

ყველა მოსწავლის აზრის წაკითხვა შეეძლო. ზოგს დატუქსავდა, ზოგს მოეფერებოდა, ან წააქეზებდა, რჩევას მისცემდა, ზოგს შინ მიაკითხავდა.

ყველამ თავისი გზა მონახა, მაგრამ არავის დავიწყებია საყვარელი მასწავლებლები, განსაკუთრებით ელენე დალაქიშვილი, რომელიც ნიადაგ თავისი ნამოწაფრების ამბავს კითხულობს, წუხს მათ ბედზე, გამამხნევებელ სიტყვას არ ივიწყებს მათთვის. ყველგან, სადაც კი ელენე დალაქიშვილს უმუშავია, კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა აქვს დამსახურებული.

ეს აღიარება უცებ არ მოსულა.

ობლობაში გაიზარდა. ერთ პაწაწინა, ნაქირავებ ოთახში ორნი ცხოვრობდნენ. დაძმას ხშირად პურის ფულიც არ ჰქონდათ.

ელენე დალაქიშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა. რაიონის ხელმძღვანელობამ მისი ცოდნა, ნიჭი, ენერგია, უნარი დააფასა და ჯერ საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის მდივნად, მერე კი რაიონის განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანა, სადაც დღემდე უნარიანად ხელმძღვანელობს სახალხო განათლების საქმეს.

სამი შვილის დედა ახერხებს დიდი მონაწილეობა მიიღოს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ხელმძღვანელობს რაიონულ ქალთა კომიტეტს, რომელიც ყოველ ახალ წამოწყებას და ინიციატივას დროულად ეხმაურება. წლეულს, ჩვენი რაიონის ქალთა კომიტეტმა მშვიდობის დაცვის ფონდში 160 ათასი მანეთი გადარიცხა.

**ნანა ოქრუაშვილი,**
**სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის ინჟინერი.**

ქეთევან ჭილაშვილი

# სხვა მამა არ მინდა!

მძიმე-მძიმედ მიდიოდა დათა შინისაკენ. აღარ მიუხაროდა, იქნებ ის უჯობდა, გზიდან გადაეხვია და ასე ევლო, მანამ მუხლში ძალა ეყოფოდა, მაგრამ ორი ბიჭუნა რომ მოუთმენლად ელოდა? აგერ, კიდეც დალანდა კიბისთავზე ჩამოსკუპებულები.

ხელსავსე მოდის დათა. სათამაშოები მოაქვს, ოღონდაც გაახაროს, ოღონდაც გაახალისოს ეს პატარა ვაჟკაცები.

— მამილო, რა მოგვიტანე? — მკერდზე შეაფრინდნენ პაწიები.

— აბა, გახსენით!

ფათიფუთით ეცნენ ბიჭები...

დათამ ვერ გაუძლო ამ სურათს, სარკმელთან მიდგა და სიგარეტს მოუკიდა. ზანტად მიიზლაზნებოდა კვამლი. დროდადრო მსუბუქად ეყრებოდა იატაკს ფერფლი.

— რაო, შვილო?! — ფეხაკრეფით მიუახლოვდა ლიზა დათას.

— ზეგ... — შორიდან მოესმა ლიზას.

— ეს რა დღეს მოვესწარი — სავარძელში მოიცელა დედაქალი.

— ბავშვებს დედასთან ურჩევნიათ, ამას უნდა შევეგუოთ... — თავი მხნედ მოაჩვენა დათამ დედას, მაგრამ ლიზამ იცოდა, სიმწრისა იყო შვილის საფეთქლებთან შეკუნწლული ოფლის ცვარები...

— უჩვენოდ კი გაძლებენ? აგრემც ამათ ენაცვალოს ბებია... მივალ, მუხლებში ჩავუვარდები, მამინაცვლის გულისად ნუ გახდის ჩემს ზურიკოსა და გიას.

დათას ტყვიასავით მოხვდა „მამინაცვალი.“ თვითონ რკინას გაკვნეტს, როგორმე გაუმკლავდება ამ განსაცდელს, მაგრამ თავის დედას რაღას ემართლება? იქნებ ახლა აუწყოს, რომ... ის ქალი... თავისი ნაცოლარი... როცა შეირთო...

არა, ცეცხლზე, რაღა ნავთი უნდა...

— დამშვიდდი, დედაჩემო, მოხდა ასე... მე არა ვარ პირველი და უკანასკნელი... — დათამ დედას მზერა აარიდა.

ლოგინები ისევ აწეწილი იყო, ლიზას აღარაფრის გულისალაგი არ ჰქონდა, დათა საწოლებზე გადაწვა, ჭერზე აბლაბუდის ძაფი ოდნავ ირხეოდა (ალბათ დათას სუნთქვაზე), მერე ნელ-ნელა ჩამოიწელა და წვერზე მატარებლის კუპე გამოინასკვა. ცალ მხარეს მივლინებიდან გამომგზავრებული დათა ზის, ცალ მხარეს... ის ქალი...

— კაცები ყველანი ერთ დღეს უნდა დაწყდნენ!...

— რას ერჩით?

ცრემლებმა გასცა ქალის საიდუმლო.

— ერთის დანაშაულზე ყველა არ აგებს პასუხს — მიაგება ვაჟმა.

კუპეში ვარდისფერი ბურუსი ჩამოდგა...

მეორე დღეს კი:

— დიდება შენდა ღმერთო! — ლიზამ პირჯვარი გადაიწერა ზარის გაბმულ წკრიალზე. გამოაღო კარი და პირკატა ეცა — ერთმანეთში აეხლართა სიხარულისა და გაოცების ელდა. გონს მალე მოეგო, შვილის ხათრით შეიფერა ცამოწმენდილზე მოვლენილი პატარძალი და თავისებურად დატრიალდა, აფუსფუსდა.

ამაღლდა ჭერი!

გაჩნდა ტყუპი ბიჭი!

— თავს შემოგევლოთ დედა!

— გენაცვალოთ მამა!

— წამლად დაგედოთ ბებო!

ამ ალერსით ირწეოდა აკვნები, იდგა რძის ფიას სურნელი, სათამაშოებით დაიხუნძლა ფანჯრის რაფები...

ბედნიერებამ კუდი ყავარზე გადო, მაგრამ... ვიღაცა გონს მოეგო, შეშურდა: „ჩემი ბედნიერებით სხვა ხარობდესო?“ — იფიქრა იმ „პირველმა“ კაცმა.

— მამიი, — ტირილით წამოჯდა ზურიკო და გიამაც ბანი მისცა.

— რაო, ჩემო პატარა ხიზნებო! — ფიქრი გაუწყდა დათას.

— აქ იყავი — მკერდზე მიეკრო ზურიკო.

— დედა არ ჩამოვიდა? — გულში ჩაუძვრა გიაც.

— დედამ სხვა მამასთან უნდა წაგიყვ... ენა დაება დათას.

— სხვა მამა არ მინდა!

— სხვა მამა მოკვდეს! — პაწია მუშტები დაუშინეს ბიჭებმა, როგორ თუ ეს გვაკადრეო.

— გეხუმრეთ, თქვენ კი არა, ზღაპრის ბიჭებს ვუთხარი. აბა, კოტრიალა, კოტრიალა! — ბავშვები გადააგორ-გადმოაგორა და ბალიშზე მიადებინა თავი.

— ზღაპარი გვითხარი...

— როხროხა ექსკავატორზე.

— თვალები დახუჭეთ და ისე...

ტყუპებს მალე ჩაეძინათ, ლომის ბოკვერებივით გადაეშალათ ბალიშზე პაწია ტორები. ბაიბურშიც არ იყვნენ, ბებოსა და მამილოს სევდას იმათ პაწია გულებში რომ ედო სათავე. მშვიდად ეძინათ, ფრთებივით ეფარათ დათას დაძარღვული მკლავები.

პირღრუბლიანი მთვარე ერთი პაწია თვალით იჭვრიტებოდა დათას ჭერქვეშ და ცოდვით ილეოდა, იცრიტებოდა.



მიმდინარე წლის თებერვალში შესრულდა 100 წელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დის მარია ილიას ასულ ულიანოვას დაბადებიდან.

პარტიის სამსახური ახალგაზრდობის წლებიდანვე იქცა მარია ულიანოვას ცხოვრების მიზნად. იგი იყო ვლადიმერ ილიას ძის უახლოესი მეგობარი და თანაშემწე. თავდაუზოგავმა, მგზნებარე რევოლუციონერმა, მარია ილიას ასულმა დიდი ძალა და ენერგია შესწირა ბოლშევიკური პრესის ორგანიზებას, მონაწილეობდა ჟურნალ „მუშურ-გლეხური კორესპონდენტისა“ და ქალთათვის განკუთვნილი სხვა გამოცემების მუშაობაში. მრავალი წლის განმავლობაში იყო გაზეთ „პრავდის“ ჯერ პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ კი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მარია ილიას ასული განაგებდა საბჭოთა კონტროლის კომისიის საჩივრების ბიუროს. კრისტალურად პატიოსანი, არაჩვეულებრივად მოკრძალებული, იგი იყო ლენინური გვარდიის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლექსიკოლოგი

ფანჯრებში თანდათან იცრიცება თბილისური საღამო, მაგრამ დარბაისელი მასპინძლის უშუალო, გულახდილ საუბარს თავს ვერ ვანებებთ.

— დიახ, — ფიქრმორეული განაგრძობს პატივცემული ქეთევანი, — ამ უძველესი მითიდანაც ჩანს, თუ რამდენად ძლიერნი არიან ადამიანები, როცა ისინი ერთმანეთისათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობენ. ბაბილონის მითშიც ხომ მათი დასჯა და ზეცისკენ წინსვლის შეჩერება ენების აღრევით მოხდა...

დიდ საქმეს შინაარსის ამოცნობა სჭირდება. შინაარსი კი, — თვალს აყოლებს იგი წიგნებით გაჭედილ თაროებს, — ამოუწურავია, მით უმეტეს, როცა მსოფლიოში სამიათასზე მეტი ენა არსებობს. არა, ნამდვილად, ოცნებაც კი არ შეიძლებოდა კაცობრიობის განვითარებაზე, თუ თითოეული ხალხის სულიერი საგანძური მარტო მის ენაზე იარსებებდა. ამ მხრივ, ჩემი პროფესია ერთ-ერთ კეთილშობილურ პროფესიად მიმაჩნია.

...სამი ათეული წლის წინათ ქართველი ენათმეცნიერები მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდნენ — მათ რეცენზია უნდა დაეწერათ უცნობი ავტორის ფუნდამენტურ ნაშრომზე — „ქართულ-რუსულ ლექსიკონზე“, ბოლოს პატივცემულმა გიორგი ახვლედიანმა მისცა ვიზა ამ მამულიშვილურ საქმეს.

პირველად მაშინ ჩადგა ქეთევან დათიკაშვილის უანგარო შრომა ქართული ენის კეთილდღეობის სამსახურში, ლექსიკონს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, რედაქციებში, უმაღლეს სასწავლებლებში იყენებენ. იგი მარტო ჩვენს რესპუბლიკაში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც გახდა საჭირო, უპირველეს ყოვლისა, მათთვის, ვინც ხელი მოჰკიდა ქართველოლოგიის საქმესა და ქართველი ხალხის სულიერი საუნჯის თარგმნას.

ორჯერ გამოიცა ქეთევან დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ სამტომეული, მაგრამ დიდი მოთხოვნილების გამო ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მისი ავტორი კვლავ ახალი, უფრო ვრცელი გამოცემისათვის ზრუნავს. რვა ათეულ წელს მიახლოებული, სიმპათიური ჭაღარა მანდილოსანი კვლავ ფუტკარივით დაჰფუსფუსებს ამ საშვილიშვილო საქმეს და ქართული ენის მდიდარ კოლორიტში გულისყურით ეძებს ყოველ სიტყვას, რათა ქართული ძარღვიანი გამოთქმა „საიდუმლოდ დაფარული“ არ დარჩეს ქართველი ერის მეგობრებისათვის. არის ჭიდილი, არის ჩუმი და შეუპოვარი ბრძოლა ადამიანსა და სიტყვას შორის, და ყოველთვის იმარჯვებს ქეთევანის ღრმა ერუდიცია, ქართული და რუსული ენის ბრწყინვალე ცოდნა! ყველაზე მეტად ეს „ჭირვეული“ და „კირკიტა“ სიტყვები ავლენენ ეროვნულ ხასიათს, მის სპეციფიკას.

აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ რა დიდი ენერგია და მონდომება დასჭირდებოდა ჩვენს სასიქადულო ქალს, რომ მარტო ასო „ანზე“ სამი ათასი სიტყვა განელაგებინა ლექსიკოლოგიური კანონზომიერებით. შემთხვევითი არ იყო, რომ აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა ქეთევან დათიკაშვილის ლექსიკონს საფუძვლიანი და სერიოზული ნაშრომი უწოდა და აღნიშნა, რომ „ავტორის ღრმა ცოდნა რუსული ენისა, მშვენიერი ალღო ქართულ გამოთქმათა ნიუანსებში გარკვევისა, დაუშრეტელი ენერგია და უანგარო სიყვარული ლექსიკოლოგიური მუშაობისადმი, იყო ის მთავარი ფაქტორები, რომლებმაც შეაძლებინა ერთ ადამიანს კეთილსინდისიერად მოევლო ზღვა მასალისათვის და გაემდიდრებინა ჩვენი ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა საჭირო სახელმძღვანელოებით“.

ქართველი ენათმეცნიერის ეს დახასიათება უფრო ძლიერად ჟღერს მათთვის, ვინც იცის, რომ ცხოვრების მძიმე პირობების გამო ქეთევან დათიკაშვილმა ვერ მოახერხა უმაღლესი განათლების მიღება.

...და მაინც იგი გახდა ერთადერთი ქართველი და პირველი საბჭოთა ლექსიკოლოგი ქალი.

დღეს უმაღლესდამთავრებულებს, მეცნიერებს თუ მთარგმნელებს თვითონ სჭირდებათ ქეთევან დათიკაშვილის სოლიდური ნაშრომი. ქეთევანის გვარი გვხვდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ყველა ტომის სარედაქციო წერილებში, როგორც ამ ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენლისა. გარდა ამისა, უკვე დიდი ხანია ქართველი მკითხველი ქართულ ენაზე კითხულობს ქეთევან დათიკაშვილის მიერ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ გონჩაროვის „ობლომოვსა“ და პავლენკოს „ბედნიერებას“.

ამგვარი ქალის შემოქმედებითს ლაბორატორიაში ახლაც გვიანობამდე არ ქრება სინათლე. წელთა სვლას ვერ გაუნელებია ის დიდი პათოსი, რომლითაც იგი უანგაროდ ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. ჩვენს კითხვაზე, თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობს ლექსიკონის შედგენისას, ქეთევანმა გვიპასუხა:

— ლექსიკონი ყველასათვის საჭირო, პოპულარული და, ამავე დროს, მეცნიერებისათვის ვარგისი უნდა იყოს. მან უნდა განმარტოს ეროვნულ ლიტერატურაში გამოყენებული ყველა სიტყვა, რომელიც არ გაცვეთილა. თანაც, თანამედროვე ცხოვრების მოვლენების ამსახველი სიტყვებიც უნდა გვიჩვენოს.

ამიტომ, ცხადია, რა სრულყოფილიც უნდა იყოს ლექსიკონი, დროთა განმავლობაში „ხანდაზმული“ ხდება და გადახალისებას ანუ გამდიდრებას საჭიროებს ახალი ტერმინებით, ახალწარმოებული სიტყვებით და სხვა. ამიტომ ვჩქარობ „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ ოთხტომეულის გამოცემას, თუ გამომცემლობამაც გამიმართლა იმედი.

...ამ პატარა ოთახში, სადაც, რუსული ენის შემწეობით, ყოველი ქართული სიტყვა უცხოთათვის ნაცნობი ხდება, ჩვენ ვიგრძენით, რომ ქეთევან დათიკაშვილის, ამ ტანმორჩილი, ენერგიული ქალის მთელი ცხოვრება უანგარო, წმინდა და თავანკარაა. იგი თვალნათლივ ადასტურებს იმ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ მამულიშვილური ტვირთის აწევა იმას შეუძლია, ვინც მთელი არსებით, მთელი გატაცებით ემსახურება სამშობლოს.

**მარიკა სილაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაგდარნი



ქეთევან ბეჟანიშვილი

ჩემს წინ ორი ხანდაზმული, სიმპატიური მანდილოსანი ზის. ჭკვიანი თვალები აქვთ და ასაკისათვის შეუფერებელი, ახალგაზრდული იერი.

ესენი ნინო ბილანიშვილი და ქეთევან ბეჟანიშვილი არიან — ავტორები ოცდაათიან წლებში გამოცემული სასწავლო სახელმძღვანელოებისა.

წიგნებს სიძველის ნიშანი აზის. ფურცლები გაყვითლებულ-გაცრეცილია. მხოლოდ ილუსტრაციებსღა შემორჩენია პირვანდელი სახე. ამ წიგნებზე აღიზარდნენ თაობები, ბავშვები ამ წიგნებით სწავლობდნენ ხელგარჯილობას, ეუფლებოდნენ პოლიტექნიკური შრომისათვის განკუთვნილ სამუშაოებს.

სახელმწიფო გამომცემლობამ ოთხჯერ გამოსცა სახელმძღვანელო („დამხმარე წიგნი პოლიტექნიკური შრომისათვის") ლამაზად დასურათხატებული წიგნის შესაფერისი ტექსტი პატარებს აჩვევდა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ხმარებას და გამოყენებას, ბოსტნებსა და ბაღ-ვენახებში მუშაობას. სხვადასხვა ავტომანქანების ქაღალდით გამოჭრასა და შეწებებას, ხეზე მუშაობას. გოგონებს ამზადებდა მეოჯახეობისათვის, დედობისათვის, ხელსაქმისათვის, ბიჭუნებს—საკაცო საქმეებისათვის.



ნინო ბილანიშვილი

მუშაობა ქაღალდზე, მუყაოზე, თიხაზე, მავთულზე, ხეზე... ოჯახის მოვლა, ბოსტნეულისა და ხილის მოვლა, ხელსაქმე, მიწის დამუშავება, მუშაობა ელექტროობასა და ქსოვილებზე, სოფლის მეურნეობა—ვკითხულობთ წიგნის ქვეთავებში. თითოეულ განყოფილებაში გავრცობილად, საინტერესოდ და ამომწურავად არის მოცემული, უხვად ილუსტრირებული შესაფერისი მასალა. წიგნმა თავის დროზე დიდი და საჭირო საქმე გასწია.

ნინო ბილანიშვილი და ქეთევან ბეჟანიშვილი ერთად სწავლობდნენ თბილისის „წმინდა ნინოს სასწავლებელში", ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. ახლადგახსნილი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც ერთად გახდნენ და ითვლებიან აკადემიის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულებად. გიგო გაბაშვილმა, იაკობ ნიკოლაძემ, ლანსერემ, შარლემანმა აკადემიაში აზიარა მაღალ ხელოვნებასა და კულტურას ნინო და ქეთევანი.

ღვაწლმოსილი მანდილოსნები სტუდენტობიდანვე ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხატვას ასწავლიდნენ თბილისის ქართულსა და რუსულ საშუალო სკოლებში.

და თუ მეტის გაკეთება შეეძლოთ და ვერ შეძლეს, დედობამ, დიდი ოჯახების დიასახლისობამ შეუშალათ ხელი. დღეს კი, ეს ორი ამაგდარი მანდილოსანი სიამოვნებით იგონებს იმ წლებს, შემოქმედებითი წარმატებებისა და აღმავლობის წლები რომ ჰქვია.

ნ. ბუკია

# რევოლუცია და ინგილო ქალი

წარსულში ინგილო ქალს მხოლოდ საოჯახო საქმიანობა ევალებოდა: ქმარ-შვილისთვის ზრუნვა, ყანაში თუ კალოზე საჭმლის მიტანა, საქონლისა და შინაურ ფრინველის მოვლა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ინგილო ქალი განთავისუფლდა მონობისაგან და მამაკაცებთან ერთად ჩაება საზოგადოებრივ შრომაში. დღეს ინგილო ქალი შრომობს კოლმეურნეობაში, წარმოებაში, მშენებლობაზე, მონაწილეობს სახელმწიფო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კოლმეურნე ქალი სარფი ყულოშვილი აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. სარფი სოფელ კახის ნიზამის სახელობის ქართული კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე წევრია. იგი გაპიროვნებული ფართობიდან ყოველწლიურად თამბაქოს უხვ მოსავალს (2.500-3.200 კილოგრამამდე) იღებს. მისი მოყვანილი თამბაქო ყოველთვის მაღალხარისხოვანია. მან პირადი მეცხრე ხუთწლედი დიდი წარმატებით დაამთავრა, ხოლო მეათე ხუთწლედში ახალ გამარჯვებებს აღწევს. იგი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული მოძმე აზერბაიჯანელ კოლმეურნე ქალებთან; კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტისა და გამგეობის წევრი ბევრი ახალი წამოწყების მოთავეა.

შრომის სიყვარულმა მას ბევრი გამარჯვება მოუტანა როგორც საზოგადოებრივ სარბიელზე, ასევე პირად ცხოვრებაში. იგი მარტო უძღვებოდა ოჯახს, როცა ომში დაჭრილი მეუღლე გარდაეცვალა. სარფიმ შეძლო ფეხზე დაეყენებინა ღარიბი გლეხის კერა. ეკონომიურად მოემძლავრებინა იგი. მან ღარიბული მამა-პაპური სახლის ნაცვლად ეზოში ახალი, თანამედროვე ტიპის კოპწია სახლი წამოჭიმა, შვილებს უმაღლესი განათლება მიაღებინა და ახლა კი შვილიშვილების აღზრდაზე ზრუნავს.

მის სახლში ნახავთ ტელევიზორს, რადიომიმღებს, თანამედროვე ავეჯს. ახლო მომავალში მსუბუქ ავტომანქანას შეიძენს. აი როგორია ინგილო ქალის მდგომარეობა და ოჯახი დღეისათვის. ასეთი ბედნიერი ცხოვრება ინგილო ქალებს დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა.

საინგილოში, ისევე, როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, შრომითი ენთუზიაზმია გაჩაღებული, მუშები და კოლმეურნე ქალები იჩენენ ინიციატივას და თაოსნობას ახალ-ახალი ზღუდეების დასალაშქრავად.

ინგილო ახალგაზრდობას სწავლა-განათლების საქმეში დიდი დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობამ, ინგილოებისათვის საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტია დაშვებული.

ასეთი ხელშეწყობით ინგილოებმა დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და დღეს ისინი განათლების, მედიცინის, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ, მხარში უდგანან მოძმე აზერბაიჯანელ ქალებს, ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, აღწევენ ახალ-ახალ წარმატებებს.

რევოლუციამდე კი საინგილოში რამდენიმე განათლებული ქალი იყო: სოფიო ყულოშვილი, ქეთევან ბაჩალიშვილი და სონა (სოფიო) ჯაოშვილი, რომლებიც ხუთი ათეული წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ 1943-1950 წლებში საქართველოდან საინგილოში სამუშაოდ ჩასული მასწავლებლები, აწ განსვენებული მწერალი ქალი ალ. ჩხენკელი; მასწავლებლები: ლ. ჭეიშვილი, ნ. რამიშვილი, ე. ბლუაშვილი, ბ. კუტუბიძე, ქ. კუპატაძე, გ. ფირცხალავა; უფროსი პიონერხელმძღვანელი ე. ხუციშვილი.

დღეს მათს საქმეს წარმატებით აგრძელებენ ინგილო პედაგოგები: ო. ჯანაშვილი, თ. ყულოშვილი, ნ. ტარტარაშვილი, მ. ტარტარაშვილი; ეკონომისტი ს. ოთარაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტდამთავრებული პროვიზორები: უ. ფოლადაშვილი, თ. ოთარაშვილი. გ. ჯანაშვილი, ო. ბაირამაშვილი, თ. ფაჩხატაშვილი, მუსიკოსი ნ. ჯანაშვილი და სხვები.

დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს დამცველთა რიგებში ვაჟკაცებთან ერთად იდგნენ ინგილო ქალები: ტ. ტარტარაშვილი, ა. გამხარაშვილი, მ. აზადინოვა და სხვები, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და მშვიდობიან შრომაში ჩაებნენ.

**ი. ხუციშვილი**



# მადლიანი მოღვაწე

როზა თავდიდიშვილი პირველი ებრაელი ქალი იყო, რომელმაც თავსაბური მოიხადა, ოქტომბრის ახალი სიო, მომავლის სიდიადე იგრძნო და ხალხში გავიდა. იგი თავისი ხალხის მეურვე, მზრუნველი, დიდი მოამაგე და ქომაგი იყო! მისი ახლო მეგობრები იყვნენ ნინო ნაკაშიძე, ლიდია მეგრელიძე, ანა ხახუტაშვილი, ალექსანდრა (საშა) ჩხენკელი, ვეფხო აკობაშვილი (ვეფხო ფშაველა) და სხვები. მან გამოსცა საინტერესო ნაშრომი; „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“ (1940 წ.).

როზა თავდიდიშვილის კალამს ეკუთვნის შვიდი საბავშვო წიგნი „ორი ძმა“ (1949, საბლიტგამი), „თავსატეხი“ (1952, საბლიტგამი), „გასართობი“ (1954, საბლიტგამი), „საბავშვო მოთხრობები“ (1956, საბლიტგამი), „ხატაურას წერილი მეგობრებს“ (1964, „ნაკადული“), „ანდაზები რებუსებში“ (1966, „ნაკადული“), „რებუსები“ (1973, „ნაკადული“).

ამ გულწრფელმა და მართალმა წიგნებმა პოპულარობა და სიყვარული მოუპოვა ავტორს არა მარტო ებრაელთა, არამედ ქართველ მკითხველთა შორისაც.

მოდით, მისი დაბადების 90-ე წლისთავის გამო მოკლედ გავიხსენოთ მისი ცხოვრების მეტად ვრცელი სავალი.

როზა თავდიდიშვილი დაიბადა ქუთაისში, 1886 წლის 6 დეკემბერს (ძვ. სტილით). 1901 წელს დაამთავრა ქუთაისის ქალთა უფასო ექვსკლასიანი სკოლა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ როზას სკოლა აღარ უნახავს.

სამი წლის შემდეგ გათხოვდა და მყუდრო, ტკბილი ოჯახი შექმნა. იყო საუკეთესო დედა ერთი ქალიშვილისა და ორი ვაჟიშვილისა. მისი შვილები და შვილიშვილები დიდი მოწიწებითა და სიყვარულით იხსენიებენ დედასა და ბებიას.

როზა თავდიდიშვილს კლასიკური ცოდნა არ მიუღია, მაგრამ ნაკითხობა კი ემჩნეოდა. ზედმიწევნით იცოდა ქართული და რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული მწერლობა, ძალზე იზიდავდა ბოლშევიკური არალეგალური ლიტერატურა, რომელსაც ახალგაზრდა ენთუზიასტი ბოლშევიკი იცკა რიჟინაშვილი (როზას მამიდაშვილი) აწვდიდა. მეფის ჯალათებმა იცკა 1906 წელს მოკლეს.

როზა თავდიდიშვილი პირველი ებრაელი ქალია, რომელმაც მწერლობაში და ჟურნალისტიკაში მოღვაწეობა 1924 წლიდან დაიწყო. იგი ფოლკლორისტი და მხარეთმცოდნე, ქუთაისში დიდ საზოგადო მოღვაწეობასაც ეწეოდა. არცერთი საზოგადო კრება არ ჩატარებულა უიმისოდ. როზა თავდიდიშვილი მუშკორი გახლდათ გაზეთ „ახალი სოფლისა".

1926-28 წლებში როზა თავდიდიშვილი ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იყო ალმასკომის წევრიც. მონაწილეობას იღებდა სადელეგატო კრების მუშაობაში, ხელმძღვანელობდა ებრაელთა უბნის სადელეგატო პუნქტს, თავგამოდებით ასწავლიდა ებრაელებს წერა-კითხვის უცოდინართა სკოლაში. ერთი სიტყვით, იგი დაუცხრომელ და დაუღალავ მოღვაწედ გვევლინება. დაუვიწყარია მისი ბრძოლა ებრაელ ქალთა საზოგადო ასპარეზზე გამოსაყვანად, ხოლო დიდია მისი ამაგი 1928 წელს ებრაელთა უბანში ხანძრის გაჩენის დროს, როდესაც არნახულმა ცეცხლმა შთანთქა ხის სახლები და ცის ქვეშ დატოვა ათასობით ოჯახი. დაობლებული, შიშველი და მშიერი ბავშვების მფარველი და პატრონი როზა თავდიდიშვილი იყო, მან ბევრი ობლად დარჩენილი ბავშვი ქუთაისელთა ოჯახებში მოათავსა და აპატრონებინა. ქუთაისელ ებრაელობას ახსოვს როზა თავდიდიშვილის ეს დაუვიწყარი თავდადება.

1938 წლიდან როზა თავდიდიშვილი თბილისში დასახლდა და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" კორექტორად დაიწყო მუშაობა. აქ უფრო უმატა ლიტერატურულ შემოქმედებას. სისტემატურად ბეჭდავდა იმდროინდელ საჭირბოროტო საკითხებზე ნარკვევებს, წერილებს, ებრაულ ლეგენდებს და სხვა მასალას.

როზა თავდიდიშვილის ეთნოგრაფიული ნარკვევი ზერელე ნაშრომი არ გახლავთ, აქ ყოველი მასალა კარგად შესწავლილი, მაგალითებით დადასტურებული და ღრმად მოფიქრებულია. ნაშრომში ხატოვნად არის ნაჩვენები, რით სულდგმულობდა ქუთაისელი ებრაელობა, როგორი იყო ქალისა და კაცის, ბავშვებისა და, საერთოდ, ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრება, მათი სიხარული და ადათი — დაქორწინებისა და ბავშვის შეძენის დროს, გლოვისა და დამარხვის დროს. გვიჩვენა, თუ როგორ დახშული და დაბნეული იყო მათი გონება უწიგნურობით. მათ ეგონათ, რომ ლუკმა პურის მოძიება მხოლოდ ზურგზე მძიმე ფართალაკიდებული სოფელ-სოფელ და კარდაკარ სიარულითა და ვაჭრობით შეიძლებოდა. აი ამ მანკიერებას ებრძოდა როზა თავდიდიშვილი თავის ნარკვევში. ამიტომაც დაიმსახურა სამართლიანი და ღირსეული შეფასება არა მარტო ამ ნარკვევმა, არამედ მისმა მთელმა შინაარსიანმა მოღვაწეობამ, რაც აღნიშნულია ო. გაბიძაშვილისა და ა. ციციაშვილის წიგნებში; ხოლო ნარკვევის რედაქტორი სერგო მაკალათია აღნიშნავს: „... ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა ქართველი ებრაელობა, რომელიც ჯერ არ ყოფილა ასეთი შესწავლისა და კვლევა-ძიების ობიექტი. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ გამოქვეყნებულა ქართველი ებრაელების შესახებ ეთნოგრაფიული მასალები. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა როზა თავდიდიშვილმა, რომელმაც სრულიად უანგაროდ, თავისი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში შესძლო შეეკრიბა ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მასალები... იგი მხარეთმცოდნე და საქმის დიდი ენთუზიასტია. მისი მიზანია, ამ შრომის გამოქვეყნებით ხელი შეუწყოს ებრაელთა მასის გათვითცნობიერების საქმეს, გააცნოს მას, თუ რას წარმოადგენდა მისი ყოფა-ცხოვრება წარსულში და როგორ უნდა შეიცვალოს ძველი ცხოვრება ახალი სოციალისტური ყოფით..."

რაც შეეხება საბავშვო მოთხრობებს, როზა თავდიდიშვილს კარგად შეუსწავლია შინაური და გარეული ფრინველებისა და ცხოველების ჩვეულებები, ამიტომ მათზე ლაკონიურად და მიმზიდველად წერა ემარჯვება. ავტორს ეხერხება მეგობრობის დამყარება ბავშვებთანაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოთხრობა „დედინაცვალი", რომელშიც დედინაცვალი დაუპირისპირა ზღაპრისეულსა და ცხოვრებაში არსებულ დედინაცვლებს. ეს ლამაზი მოთხრობა თითქმის ყველა საბავშვო ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა.

როზა თავდიდიშვილის არქივში ინახება ვრცელი სია იმ ნარკვევებისა, წერილებისა, ებრაული ფოლკლორისა, გამოცანებისა და სხვა იმჟამინდელი საჭირბოროტო საკითხებზე დაწერილი მასალებისა, რაც კი დაუწერია და დაუბეჭდავს ავტორს. საკუთარი ხელით აღუნიშნავს წელი, რიცხვი, რომელ გაზეთში, რომელ ჟურნალში, რომელ ნომერში და რა სათაურით გამოქვეყნდა ისინი. მათი რიცხვი ორასს აღემატება.

დასანანია, რომ ავტორმა ვერ შეძლო თავის დროზე თავი მოეყარა ამ საინტერესო მასალისათვის, ერთ კრებულად აეკინძა და დაინტერესებული მკითხველი გასცნობოდა ამ მადლიანი მოღვაწის მთელ შემოქმედებას.

მე მინდა გავიხსენო სიტყვები, რომლებიც მისმა მეგობრებმა წარმოთქვეს უკანასკნელ გზაზე მისი გაცილებისას.

„უზომოდ დამწუხრებულნი ვდგევართ თქვენს სამუდამო სამყოფელთან. სიკვდილსიცოცხლის გზის ამ გასაყართან და წრფელი ცრემლით დაგტირით და ფიცსა ვდებთ, რომ სამუდამოდ — თუკი სამუდამო არსებობს რამე, — შევინახავთ გულში თქვენს წმინდა ხსოვნას".

ოღონდაც! როზა თავდიდიშვილი ჭეშმარიტად ამის ღირსია!

ანა ღვინიაშვილი



# მოსაგონარი

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციაში იგი სამიოდე წლის წინათ მოვიდა. ამ წლების განმავლობაში ეთერ ვასილის ასულმა როსტომაშვილმა კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ეს გასაგებიც არის, მისი ნაკითხობა, ლიტერატურული მუშაობის გამოცდილება და მხიარული, მეგობრული ხასიათი ხიბლავდა ყველას. გამომცემლობა „სახელგამი", ჟურნალი „მნათობი", გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"— აი რედაქციები, რომელთა მუშაობაში ეთერ როსტომაშვილს თავისი მოკრძალებული წვლილი აქვს შეტანილი. წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლის მოსურნე. მარტის ერთ მზიან დღეს გავაცილეთ იგი საბოლოო გზაზე, გზაზე, სადაც აყვავებული ნუში შეხაროდა სიცოცხლეს. და კიდევ უფრო გვიმძიმდა მისი განშორება ამ გაზაფხულთან, ამ სილამაზესთან, რომელსაც მარად შეხტროფოდა ჩვენი ეთერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი სიდედრ-დედამთილებისა

## ანუ საუბარი იმაზე, ადვილია თუ არა რძლობა და როგორი საქმეა სიძეობა

ამ რამდენიმე წლის წინათ, მეხიკოს სტადიონზე, ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე უახლესი მარკის დიდებული ავტომანქანა შესრიალდა და მაშინვე გაისმა დიქტორის ხმა. მანქანას სთავაზობდნენ — თანაც სრულიად უსასყიდლოდ — იმ კაცს, ვისაც ჯიბეში სიდედრის სურათი აღმოაჩნდებოდა.

ცხადია ამ ოინბაზობის ორგანიზატორები პრაქტიკულად არავითარ რისკს არ ეწეოდნენ. ფოტოსურათი, რა თქმა უნდა, არავის აღმოაჩნდა და მანქანა, ზეიმური სიგნალით, როგორც შესრიალდა, ისევ გამოსრიალდა.

ეს იყო, ალბათ, ყველაზე ორიგინალური ხუმრობა სიდედრ-დედამთილობის მარადიულ თემაზე, რაზეც იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ ახლა ყველაზე უნიჭო იუმორისტებიც კი არ კადრულობენ წერას. ან კი, რაღა უნდა თქვან ისეთი, რაც ადრე არ თქმულა?

აი, ეს ჩვენი წერილი ერთგვარი პასუხი იქნება ამ კითხვაზე.

თქმა არ უნდა — სიდედრის ურთიერთობა თავისი ქალიშვილის ქმართან (ან დედამთილისა თავისი ვაჟიშვილის ცოლთან), არ არის მთლად იოლი და მარტივი. თუმცა, ჭკვიანი ხალხი იმასაც ამბობს, რომ თუ სიდედრისადმი (ან დედამთილისადმი) ყურადღება, თავაზიანობა გამოიჩინე...

მაგრამ, აი, აქ შევჩერდეთ და გავარკვიოთ — რას ნიშნავს ყურადღება, თავაზიანობა და როგორ უნდა გამოხატონ ეს სიძეებმა? ხშირად ჰკითხონ სიდედრს რჩევა-დარიგება? მალ-მალე მოიკითხონ, როგორ ბრძანდებითო? თავაზიანად მოექცნენ?

მაგრამ, წარმოიდგინეთ, თურმე, რაც ერთი ჯურის ხალხს ზრდილობად და თავაზიანობად მიაჩნია, მეორე სულ საწინააღმდეგოდ თვლის.

ავსტრალიის, ოკეანიის, ამერიკის, აზიის მრავალ ხალხში ახლაც გვხვდება ე. წ. „მორიდების ადათი". სხვანაირად რომ ვთქვათ, უდიდეს თავაზიანობად, უზარმაზარ ყურადღებად იქ ის მიაჩნიათ, რომ სიდედრსა თუ დედამთილს შეხვედრისას ზურგი შეაქციონ, ზედაც არ შეხედონ და, საერთოდ, თვალით არ დაენახონ.

განსაკუთრებით არის გავრცელებული ეს ჩვევა ავსტრალიის მკვიდრთა შორის. მაგალითად, ვაჩანდის ტომში სიძე როგორც კი თვალს მოჰკრავს გზაზე მომავალ სიდედრს, მაშინვე სამალავს ეძებს. თუ ღმერთი გაუწყრა და სიდედრმა მოულოდნელად მის გვერდით ამოყო თავი, სიძემ კი ეს ვერ შეამჩნია, იქვე აღმოჩნდებიან ღვთისნიერი ადამიანები, რომლებიც სიძეს ამას შეატყობინებენ. ჰოდა, სიძე ან ჩირგვებში შეიმალება ან ხეს მოეფარება და სამალავიდან მხოლოდ მაშინ გამოვა, როცა აცნობებენ, რომ შენი სიდედრი წავიდაო. აი, რებერნის ტომის ხალხს კი სჯერა, რომ რა წამს სიძე სიდედრს შეხედავს, სულ ერთიანად გაჭაღარავდებაო.

მაინც როგორ უნდა მოიქცეს სიძე-სიდედრი, თუ სათათბირო აქვთ რაიმე? ასეც ხომ ხდება? კამილაროის ტომის ხალხმა ეს საჭირბოროტო საკითხი ამგვარად გადაწყვიტა: სიძე და სიდედრი ზურგშექცევით დგებიან და ისე ხმამაღლა უყვირიან ერთმანეთს, თითქოს ერთი მთას , იქით დგას და მეორე — აქეთ.



ერთხელ მკვლევარი პერკინსი ბრაბროლუნგის ტომის აბორიგენს ესაუბრებოდა. მან თვალი მოჰკრა, რომ მოშორებით ამ კაცის სიდედრმა ჩაიარა. მეცნიერი თავს შეუძლოდ გრძნობდა და ქალს ვერ დაუძახა. მან სიძეს სთხოვა, შენ მოუხმეო. სიძემ ხმა არ გასცა. პერკინსმა თხოვნა გაუმეორა. კვლავ დუმილი. მაშინ განაწყენებულმა ჰკითხა, რა იყო, რა მოხდაო. ახლა აბორიგენმა ძმას გადასძახა: „მერის უთხარი, აქ მოვიდეს!"—და პერკინსს უსაყვედურა „მშვენივრად იცით, რომ მაგ დედაბერს ვერ დაველაპარაკები!".

სხვა ტომებს მარტო საძრახისად როდი მიაჩნდათ სიდედრთან დალაპარაკება ან მისთვის შეხედვა! გასული საუკუნის ერთ ეთნოგრაფიულ ნაშრომში ასეთი შემთხვევაა აღწერილი: ვანაგრატას ტომის ერთმა აბორიგენმა უნებლიედ მიწაზე სიდედრის ჩრდილს დააბიჯა და ისეთი შიშის ელდა ეცა, რომ კინაღამ სული გააფრთხო.

ავსტრიელ ტომებს ასეთი ადათიც ჰქონდათ: ოჯახში ბიჭი რომ დაიბადებოდა, შეიკრიბებოდნენ მოხუცები და აურჩევდნენ... მომავალ სიდედრს. ამ ქალს ჯერ შვილიც არა ჰყავდა, იქნებ, გათხოვილიც არ იყო, მაგრამ უკვე იცოდა: თუ გოგო შეეძინებოდა, ამა და ამ კაცისათვის უნდა მიეთხოვებინა. ჰოდა, მომავალ სიდედრს მომავალი სიძე არც უნდა დალაპარაკებოდა და არც თვალით დანახვოდა.

ეს ჩვევები ავსტრალიაში ძალიან გავრცელებული იყო, მაგრამ ავსტრალიელთა შორის არსებობდნენ ისეთი ტომებიც, სადაც სიძე-სიდედრს შეეძლო ერთმანეთთან ლაპარაკი, მაგრამ უალრესად თავაზიანად და ისეთი ცერემონიებით, თითქოს ვიღაც დიდგვაროვან უცხოელს ესაუბრებოდნენ.

როგორც ცნობილია, ავსტრალიელი აბორიგენები განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე იდგნენ. იქნებ, ეს ადათები მათი ჩამორჩენილობით აიხსნება?

მაგრამ ოკეანიის კუნძულების მოსახლეობა უფრო განვითარებული იყო — აქ მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ასეთი ადათები კი მათაც ჰქონდათ.

მაგალითად, ახალი ბრიტანეთის კუნძულებზე რძალსა და სიძეს შეუძლიათ დედამთილ-მამამთილთან, სიდედრ-სიმამრთან დალაპარაკება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვთ, სახელით მიმართონ. უფრო მეტიც: თუ ამათი სახელი რაიმე საგნის სახელწოდებას შეიცავს, მაშინ რძალს და სიძეს ამ საგნის დასახელებაც კი ეკრძალებათ. ჰოდა, მას სულ ახალი, განსხვავებული სახელწოდება უნდა მოუგონონ. მკვლევარი, ვისაც ეს ადათი აღუწერია, შემთხვევით დასწრებია სასამართლო სხდომას, სადაც ბრალდებულები სიძე-სიმამრი იყვნენ. ადგილობრივი ცრურწმენით, საკუთარი სახელის წარმოთქმა ძალიან საშიშია ზემონათქვამი მიზეზით ბრალდებულებს არ შეეძლოთ ერთმანეთის სახელის წარმოთქმაც. ბოლოს და ბოლოს, მოსამართლე იძულებული გახდა შიკრიკი გაეგზავნა სოფელში და იქიდან რამდენიმე მოსახლე ჩამოეყვანა. ჰოდა როგორც იქნა, დადგინდა ბრალდებულთა სახელები.

მაგრამ ამას კიდევ რა უჭირს! ახალი ბრიტანეთის კუნძულზე სიძე და რძალი, მეუღლის მშობლების თანდასწრებით, პირში ლუკმას ვერ ჩაიდებდნენ და არც იმის უფლება ჰქონდათ, რომ მათი ჭამისათვის ეცქირათ. ასევე აკრძალული ჰქონდათ მათ სიმამრის ან მამამთილის სახლში შესვლა.

ბანკსის კუნძულებზე ადათები თითქოს უფრო ლმობიერია: აქ ცოლისა და ქმრის მშობლებს უფლება აქვთ რძალსა და სიძეს გვერდით მიუსხდნენ, მაგრამ ერთმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ჩიჩიკოვის ნახატები

ნეთს რომ ახლოს ჩაუარონ — აჰ, ეს არასგზით არ შეიძლება! ჰოდა, თუ სავალალოდ ერთმანეთს მაინც წააწყდნენ, ან სასწრაფოდ გზიდან გადავლენ ან პირს იბრუნებენ და დაელოდებიან, ვიდრე ძვირფასი ნათესავი ჩაივლის (უფრო ხშირად სიძე უთმობს გზას, თუმცა ეს სიდედრსაც შეუძლია). გარდა ამისა, სიძეს კატეგორიულად ეკრძალება სიდედრის ნავალ გზაზე გავლა. ეს მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ზღვის მოქცევა სიდედრის ნაკვალევს გადაშლის. ზღვის პირას, ვთქვათ, ეს არ არის დიდი პრობლემა, მაგრამ რა ჰქნას საწყალმა სიძემ, თუ ბილიკი უფსკრულის ნაპირზე გადის?!

პატარა კუნძულ ეფატზე სხვა სახის აკრძალვებია. აქ სიდედრი სახეს იფარავს, როცა სიძეს ჩაუვლის, ცდილობს მოიკუნტოს, ლამის განერთხოს, რომ მიწას არ აჩნდეს. სიძე-სიმამრს ერთმანეთის დანახვა არ ეკრძალებათ, მაგრამ ერთმანეთის შეხებისაგან ღმერთმა დაიფაროთ! თუ ეს მოხდა, ასე თვლიან კუნძულელები, — ან სიძე გაღატაკდება ან ორივე ვაჟკაცობას დაჰკარგავს, გალაჩრდება. ჰოდა, ეს რომ არ მოხდეს, სპეციალურ „გამწმენდ ცერემონიალს“ მოაწყობენ ხოლმე, ღორს კლავენ.

მორიდების ადათი დედამიწის სხვა კუთხეებშიც არის. მაგალითად, უფრო ხშირად სიძე ემალება სიდედრს, რძალი კი — დედამთილ-მამამთილს.

ეთიოპიაში, გალას ტომში სიდედრ-სიმამრი სიძეს ხმას ვერ გასცემს. გასულ საუკუნეში სომალში სიდედრის დანახვა საზარელ ცოდვად ითვლებოდა. ზოგიერთი მკვლევარის ცნობით, სიდედრი მხოლოდ მაშინ შედიოდა სიძის ქოხში, თუ ის შინ არ იყო, თორემ სიძეს შეეძლო მისთვის თავი გაეტეხა. ამ სასტიკი ადათის არსებობას ყველა მკვლევარი არ იზიარებს, მაგრამ ისინიც აღიარებენ, რომ სომალიელ სიძეებს ჭირივით სძულდათ სიდედრები (ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნეში) და ამ სიძულვილს უცხო ხალხთან — ეთნოგრაფებთან აღიარებდნენ.

ჩადის რესპუბლიკაში მცხოვრებ ტუბუს ტომში ცოლეური სიძეს სახელს არასოდეს უძახის. თუ სიმამრი იქ მივიდა, სადაც სიძე ზის, უნდა მოტრიალდეს და წავიდეს, მაგრამ თუ ცოლისძმა მოვიდა, მაშინ სიძემ უნდა მიატოვოს იქაურობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სიდედრების მშვენიერი ყოფა გაბონის ერთ-ერთ ტომში — ლუმბუში: როცა აქაური მამაკაცი სხვა სოფლელ ქალიშვილს ირთავს, მის სახლში უნდა გადაბარგდეს და ყოველმხრივ ეცადოს, რომ სიდედრის გული მოიგოს — მისი ყველა დავალება შეასრულოს, შეშა და საკვები მოუმარაგოს, სიდედრის ბუზღუნს კი მხიარულად, ღიმილითა და მოწიწებით უპასუხოს. ჰოდა, ამბობენ, ლუმბუში კაცები საცოლეებს უფრო ხშირად საკუთარ სოფელში ირჩევენო.

ბუშმენებში სიძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდ პატივში ჰყავს სიმამრი, სიდედრს კი ხმას არა სცემს. და, სიდედრს გული სულაც არ წყდება — რას იზამ, ასეთია ადათი...

არანაკლები შეზღუდვები დაუწესებიათ ამერიკელ ინდიელებსაც. აქაც, ბევრგან (მაგალითად, სიუს ტომში) სიძე სიდედრს არ ელაპარაკებოდა, რძალი კი — დედამთილ-მამამთილს. ხოლო თუ ბოლოს და ბოლოს ასეთი საუბარი აუცილებელი იყო, მაშინ ის მესამე პირის მეშვეობით იმართებოდა.

წინათ არაუკანებს (მაპუჩე) საცოლის მოტაცების ადათი ჰქონდათ. (სხვათა შორის, ქალისავე თანხმობით). ქალის ნათესაობა იქვე აპატიებდა სიძეს, მაგრამ სიდედრი არა. სიდედრი დიდხანს „ემდუროდა“ და შეხვედრისას ზურგს აქცევდა.

მაგრამ ინდიელ ტომებში ეს შეზღუდვები დროებითი იყო. როგორც კი მანდანის ტომის სიძე თავის სიდედრს მოკლული მტრის თავის ქალას და იარაღს მიართმევდა, ის უმალვე დაელაპარაკებოდა.

არაპახოს ტომის სიძეებს კი სიდედრის თავის მოსაქონად უფრო მშვიდობიანი და იოლი გზით მოპოვებული საჩუქარი ჰქონდათ — ცხენი.

როცა ომახას ტომში სიმამრი ან სიდედრი იმ ოთახში შედიოდნენ, სადაც სიძე იჯდა, ამ უკანასკნელს მათთვის ზურგი უნდა შეექცია და გაქცეულიყო. ხოლო თუ ის ესტუმრებოდა ცოლეურს, მაშინ სიმამრი უნდა შეტრიალებულიყო და სახეზე ხელები აეფარებინა. კერძებსა და ჩიბუხს კი ძვირფას სიძეს სიდედრ-სიმამრი მხოლოდ ქალიშვილის ხელით მიართმევდნენ.

არავაკებში სიძეს სიდედრისთვის არ უნდა შეეხედნა, ჰოდა თუ, მაგალითად, ერთი ნავით მოუწევდათ მგზავრობა, ნავში ჯერ სიდედრი ჩავიდოდა, რომ მაშინვე ზურგით დამჯდარიყო სიძესთან.

მორიდების ადათი მსოფლიოს დაახლოებით 200-მდე ხალხში იყო გავრცელებული. ის ჩვენს ქვეყანაშიც გვხვდებოდა — ციმბირში, კავკასიაში, შუა აზიასა და ვოლგისპირეთში.

როგორც ცნობილია, ყველა ადათს თავისი წარმომშობი მიზეზი აქვს. მორიდების ადათის გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ოჯახში შესული ახალი ადამიანი სხვა, უცხო გვარს ეკუთვნოდა. უცხოსთან კი სიფრთხილე იყო საჭირო, მისთვის ყველაფერი არ უნდა გაემხილათ. მას ბევრი უნდა გაეკეთებინა ნდობის მოსაპოვებლად.



თუმცა, შეიძლება, ამ ადათ-წესებს სხვა ახსნაც ჰქონდეს. მთავარი ის არის, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი ადათი უსათუოდ უნდა დაცულიყო, რადგან, ასეა თუ ისე, ალბათ, სწორია ლაოსური ანდაზა: „როცა სიძე სიდედრისათვის კარგია — ოჯახში მშვიდობაა“.

თუმცა, ეს ალბათ მარტო იმ ტომებსა და ხალხებზე არ ითქმის, ვისზეც ახლა გესაუბრეთ...

ა. დრიდზო,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოსტნეულის კერძები

## მოშუშული ისპანახი

ერთი კილოგრამი გადარჩეული, გარეცხილი ისპანახი მოხარშეთ მდუღარე მარილწყალში. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, გაწურეთ და დაჭერით. დაჭრილი ისპანახი მოათავსეთ ტაფაზე, დაუმატეთ მარილი, ერთი-ორი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და მოშუშეთ.

ალყა-ალყა დაჭრილი ხუთი თავი ხახვი, მოხრაკეთ ცოტა მარილთან ერთად ორ სუფრის კოვზ მცენარეულ ზეთში. ხუთი კბილი ნიორი მარილთან ერთად კარგად დანაყეთ და გახსენით ღვინის ძმარში.

მოშუშული ისპანახი მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე, ზედაპირი შეუსწორეთ, დაასხით ზედ ნივრიანი ძმარი, მოაყარეთ მოხრაკული ხახვი და წვრილად დაჭრილი ქინძი (გემოვნებით).



## პრასიელა

გადარჩეული, გარეცხილი პრასი მოხარშეთ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში. გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, გაწურეთ და დაჭერით. შემდეგ მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში, შეაზავეთ თქვენს გემოზე წვრილად დაჭრილი მწვანილით (ქინძი, ოხრახუში, კამა), ღვინის, ძმრით და საჭმელი ზეთით.

## ჭარხალი

ხუთასი გრამი გასუფთავებული, გარეცხილი ჭარხლის ფოთოლი, ორასი გრამი ქინძი, სამასი გრამი ოხრახუში მოხარშეთ ცალ-ცალკე. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, გაწურეთ და დაჭერით. შეაზავეთ წვრილად დაჭრილი ასი გრამი მწვანე ხახვით, მარილთან ერთად დანაყილი ხუთი კბილი ნივრით და ღვინის ძმრითა და წიწაკით.



## ჭარხალი არაჟნით

რვაასი გრამი წითელი ჭარხალი კანიანად გარეცხეთ, მოხარშეთ და კანი მოაცილეთ. შემდეგ დაჭერით გარდიგარდმო თხელ ნაჭრებად და მოათავსეთ სასალათეში. დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი დაფხვნილი პირშუშხა, მარილთან ერთად დანაყილი ორი-სამი კბილი ნიორი, ერთი თავი საშუალო სიდიდის დაფხეკილი ხახვი და ერთი სუფრის კოვზი შაქრის ფქვილი. უყავით ღვინის ძმარი, მარილი, არაჟანი, აურიეთ და ცოტა ხნით მაცივარში მოათავსეთ.

# ბებიასთან

მინიატურა

მარტის ჭირვეული ამინდია. ნელა ცრის. ბუხართან თუთის ხის ვეებერთელა ჯირკზე ვზივარ და ჩუმად ვუთვალთვალებ ბებიას. ბებია ლომს ჰკიდებს. მერე ჩიბუხს აწყობს და მათვალიერებს, კარგა ხანია არ ვუნახივარ. სამზადში წითელი წიწაკები, ნივრის ასხმულები და გამხმარი სულგუნები ჰკიდია. ოცლიტრიანი კოკა თავის ადგილზე დგას, კარიდან ხელმარჯვნივ ახალგამოჩეკილი წიწილები გემრიელად წიოკობენ და ისე საყვარლად დაბანცალობენ, ხელის მოკიდება მინდა, მაგრამ ისე ვარ დაღლილი და სველი, ადგომა მეზარება. ბებია ხვდება ჩემს ფიქრს და ორ, ბაიასავით ყვითელ წიწილას კალთაში მისვამს. მერე ცალი ხელით დოინჯს შემოიყრის, მეორეში ჩიბუხს იჭერს და მეუბნება: „შარშანაც ამ დროს იყავი, ბებია, და წლეულსაც როგორ მოზომე! თავი გინდა მოგვანატრო, თორემ, როგორ დავიჯერო, ამ სიგრძე წელიწადში ერთი დღე მაინც ვერ მოიცალე ბებიაშენისთვის".

მე ვკოცნი, ვკოცნი და არაფერს ვეუბნები. მგონი ტირილს აპირებს. ვითომ ვერა ვხედავ, მარტონი ვართ ჯერჯერობით. ქვეყ-

ბარეკანის პირველ გვერდზე — გაგრის მეცხოველეობის ჯიშთსაშენი მეურნეობის მოწინავე მუშა მედეა მანაგაძე; მეოთხე გვერდზე — მეურნეობის ახალი კომპლექსი.

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6/III-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-78 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000; შეკვ. 758 უე 00714 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისა ამბებს ვუყვები. ვიცი, ზოგი სჯერა და ზოგი არა.

ძალიან მოკლე კაბა მაცვია. მაგრამ არაფერს მეუბნება. რა ეჩქარება, ხვალ მეტყვის. მეტყვის, თუ ბიცოლაჩემმა არ დაასწრო. მერე ისიც აჰყვება და ტკბილად ჩამიტარებენ პატარა აგიტაციას: „ხომ იცი, ბებია, როგორ უყურებენ სოფელში მოკლე კაბას“ ან „ჰოდა, ბიცოლა დაგენაცვლოს“. და ასე შემდეგ. მე, რასაკვირველია, დიდი სერიოზულობით ვუსმენ, თავს ვუქნევ, კი მართალი ხართ მეთქი. მაგრამ ...მაგრამ იქამდე ჯერ ადრეა. ჯერ შინ მარტო ბებიაჩემი და მე ვართ თანაც მხოლოდ ერთი საათის მოსული, მერე სხვები მოვლენ. მუშაობენ, ათასი საქმეა შინ და გარეთ. განსაკუთრებით კოლმეურნეობაში. სახნავი, სასხლავი და საწმენდი. ვენახებიც ასაკრავია. მანამ მოვლენ, მე მთელ ეზოს შემოვივლი და მოვათვალიერებ, წყურგილეს ვნახავ. წყალს მოვიტან კოკით, მაგრამ, ვიცი, ბებიაჩემი შეიცხადებს: არა, ბებია შემოგევლოს, რა გამიჭირდა ისეთი, რომ ოცლიტრიანი კოკით წყალი არ მოგატანინო. მე ის მიკვირს, იმათ როგორ ამოაქვთ, თორემ მე რომ ვერ ამოვიტან, კი ვიცი. ჰოდა, ვჩუმდები.

გარეთ რაღაცნაირი გატანჯული და გასავათებული დღეა. ნაცრისფერია მთებს შორის სივრცეები და ცას დიდი წვიმა ჰკიდია. ალბათ, მალე დაუშვებს კიდეც. ოღონდ ცოტა ხანი მოიცადოს, ერთი საათი მაინც. მე ჯერ ისევ ვზივარ თუთის ჯირკზე. გავთბი. კარს ვაღებ. ბებია შალს მახურავს მხრებზე. იცის წყურგილეზე რომ ვაპირებ წასვლას, (ბებიამ ყველაფერი იცის). „არ დასველდე, ბებია, მალე ამოდი. ხომ ხედავ თქეშს აპირებს“ — მომყვება ბებიას ხმა. მე ჩავრბივარ დაღმართზე და... უიმე! გიდელა მსხალი წაქცეულა. ალბათ ქარმა წააქცია (ფუი, ჭირმა წაიღოს ეს ქარი შარახვეტია) უჰ! როგორ შემეშინდა! აი ხარებიც (წითელი, ვიცი, ჩვენია. ეს მეორე? შავი? ეს თუ ის ერთი ციდა ხბოა, შარშან რომ დავტოვე! ბებიას უნდა ვკითხო). ქვეყნის ყვავილებია. აი თეთრ-ყვავილა. ჩვენში ამ ყვავილს ცხენისკბილას ეძახიან. გზადაგზა ვეებერთელა თხმელებია. თხმელებზე იზაბელა. გაუსხლავს ბიძაჩემს. ყოჩაღ! მოუსწრია, თორემ, მახსოვს შარშან ამ დროს ბებია რომ ბუზღუნებდა, გადაჰყვა კოლექტივის ვენახებს და თავისი გაუსხლავი დარჩაო.

მოვედი. ესეც ბებიას წყურგილე. წყურგილე კი არა წყუ. აქ ასე ეძახიან. წყუსთან ქვეყნის ცხენებია, უმეტესად — წითელი, აჰა! ორი თეთრიც ურევია. რომელია ნეტა ჩვენი? ნეტავ თუ ვიცნობ! აი მგონი ესენია. ნეტა ხვალ კარგი დღე იქნებოდეს. დავადგამთ უნაგირებს მე და თათია და... უჰ, როგორ მიხარია! მე ის მიკვირს, აქამდე როგორ გავძელი, როგორ ვერ მოვიცალე და არ ჩამოვედი. ბებიამ თქვა: „ათკოკიანს შენთვის ვინახავდით, ხვალმის მოგიხსნის ბიძაშენი და...“ მეცინება, რომელი მსმელი მე მნახეთ მეთქი.

ვაიმე! შვიდი საათია. როგორ შევრჩი ამ ცხენებს და ცხენისკბილებს. იები მაინც ვერ ვიპოვე.

„რად გინდოდა, გოგო ეს ცხენისკბილები“ — მეტყვის ალბათ ბებია. მე გავიღიმებ და თიხის ძველ ქოთანში ჩავაწყობ მათ.

„ისევ შევყევი...“ ახლა კი ბებია მეძებს ნამდვილად. აჰა! მეძახის. ჩქარა, ჩქარა ავირბენ ამ აღმართს და ნელა მიმავალ ბებიას დავეწევი. დავეწევი და ვაკოცებ. მერე... მერე კიდევ ათასი სიხარული მელის! ვიცი და მჯერა, რომ აქ მაინც არავინ მაწყენინებს და მიხარია!

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲨᲔᲣᲘᲐ.



ნახატი ავტორისა

ნ133/84



ИНДЕКС 76178